პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 303 (10079) | ხუთშაბათი, 23 დეკემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

საქართველოს სს რესპუბლიკაში სახალხო სასამართლოების არჩევნების შედეგების შესახებ (1-ლი გვერდი).
ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიები (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობის მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი (1-ლი გვერდი).
საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა (მე-2 გვერდი).
ფ. ნაჭყეპია. — ტყიბულელ მეშახტეებს დახმარება ესაჭიროებათ (მე-3 გვერდი).
კ. თარგამაძე. — ავამაღლოთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადების ხარისხი (მე-3 გვერდი).
ვ. ჩირგაძე. — ახლებურად მუშაობის [illegible] (მე-3 გვერდი).
გაზეთების ფურცლებზე. — საქართველოს [illegible] ნის კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# საქართველოს სს რესპუბლიკაში სახალხო სასამართლოების არჩევნების შედეგების შესახებ

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ცნობა

1954 წლის 19 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნები.

საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ცნობების საფუძველზე, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შემოვიდა, გამოირკვა, რომ საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნებში კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ყველა ამომრჩევლის 99,98 პროცენტმა.

სახალხო მოსამართლეთა კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა შეადგენს კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,88 პროცენტს, სახალხო მსაჯულების კანდიდატებისათვის — 99,99 პროცენტს.

არჩევნები მოხდა ყველა საარჩევნო ოლქში.

ყველა არჩეული სახალხო მოსამართლე და სახალხო მსაჯული კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატია.

არჩეულ სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა შორის 44,61 პროცენტი ქალია, 53,36 პროცენტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი და წევრობის კანდიდატია, 46,64 პროცენტი უპარტიოა.

არჩევნები მშრომელთა დიდი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა.

# მომზადებული შევხვდეთ ახალ სამეურნეო წელს

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით გარემოცული საბჭოთა ადამიანები მთელ თავიანთ შემოქმედებით ძალებს ახმარენ იმ დიდი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს. რედაქციაში ყოველდღე მოდის დეპეშები და წერილები, რომლებითაც რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა ხელმძღვანელები, მოწინავე ადამიანები გვატყობინებენ თავიანთ ახალ წარმატებათა, მოპოვებულ საწარმოო გამარჯვებათა შესახებ.

ჭიათურის ყველაზე დიდი მაღაროს — ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა მიმდინარე წლის სახელმწიფო დავალება 16 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა. შარშანდელთან შედარებით მადნის ამოღება 15 პროცენტით გაადიდა, 7 პროცენტით გადაამეტა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმას, თვითღირებულების შემცირებით თითქმის ორი მილიონი მანეთით გაადიდა ზეგეგმითი დაგროვება.

მაღაროელთა ეს წარმატება იმის შედეგია, რომ ისინი დაუცხრომლად ზრუნავდნენ შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენებისათვის, სამთო საქმის მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის, შრომის დისციპლინის ამაღლებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. წარმატება იმის შედეგიც არის, რომ წლევანდელი სამეურნეო ამოცანების შესრულებას ისინი მომზადებული შეხვდნენ.

გამოცდილება ცხადყოფს, რომ იქ, სადაც გულდასმით ემზადებიან ახალი სამეურნეო წლის ამოცანების შესასრულებლად, საწარმოო გეგმებს ყოველთვის წარმატებით ანაღდებენ.

ახლა საწარმოთა ხელმძღვანელებს ძირითადად უკვე მიღებული აქვთ მომავალი წლისათვის მუშაობის საორიენტაციო გეგმები. ცნობილია, რომ თითქმის ყველა საწარმოს საგრძნობლად უდიდდება პროდუქციის გამოშვების საერთო მოცულობა და სასორტიმენტო გეგმა. რესპუბლიკის მრეწველობამ 1955 წელს ქვეყანას იმავე საწარმოო საშუალებებით და ძალებით, რაც მის განკარგულებაშია, უნდა მისცეს მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია, უზრუნველყოს თვითღირებულების შემდგომი შემცირება. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ შევძლებთ განუხრელად ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება.

ახალი სამეურნეო წლისათვის მზადებაში საუკეთესო მაგალითს გვაძლევს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივი.

მომავალი წლიდან მას მნიშვნელოვნად გადიდებული დავალებები ეძლევა. ამისათვის ქარხანაში დიდი ხანია შეუდგნენ მზადებას, რომელსაც ოპერატიულად ხელმძღვანელობენ ადგილობრივი სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები. შეადგინეს ახალი წლიდან გამოსაშვები ჩარხების სხმულთა მიღების გრაფიკი, რომელიც უკვე გადაეცა ამ ქარხანასთან კოოპერირებულ ავჭალის ფოლად-თუჯის სამსხმელო საწარმოს; მოწყობილობათა პარკი შეავსეს ახალი სალარავი, სარანდავი, საბურღავი ჩარხებით; დამამზადებელ და სამჭედლო საამქროებში შეუდგნენ 1955 წლის დამდეგიდან გამოსაშვებად გათვალისწინებული ჩარხებისათვის ცალკეული ნაწილების დამზადებას; ზამთარში შეუფერხებელი მუშაობისათვის მოიმარაგეს ყოველივე, რაც საჭიროა.

ჩარხმშენებელთა შორის ფართოდ გაშლდა ახსნაგანმარტებითი მუშაობა მომავალ წელს ქარხნის კოლექტივის, საამქროს, ცვლის, უბნის თვითეული მუშის წინაშე მდგომი ამოცანების შესახებ.

ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი ცდება, როდესაც ფიქრობს, რომ გადიდებული გეგმების შესრულება თითქოს მხოლოდ კაპიტალურ დაბანდებათა და ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავებით შეიძლება. სოციალისტური მრეწველობის პრაქტიკამ ცხადყო, რომ მთავარია საწარმოს ხელმძღვანელთა განკარგულებაში მყოფ ყველა შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენება.

ერთ-ერთი ასეთი რეზერვია საწარმოო ფართობის რაციონალურად, სრულად გამოყენება, მოცემული ფართობის თვითეული კვადრატული მეტრიდან სამრეწველო პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობით მიღება.

იმ სამრეწველო საწარმოებში, სადაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ტექნიკურ პროგრესს, შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციას და ამ საქმეში აქტიურად აბამენ მასებს, შრომის ნაყოფიერება განუწყვეტლივ იზრდება, პროდუქციის თვითღირებულება მცირდება, ხოლო ხარისხი მაღლდება.

წარმოების ნოვატორები დაუღალავად ეძებენ, პოულობენ და მოქმედებაში მოჰყავთ გამოუყენებელი შესაძლებლობანი, რომლებიც ეხმარება მათ უფრო მაღალპროდუქტიული გახადონ თავიანთი შრომა. მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელება სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის მძლავრი საშუალებაა.

ახალი წლის საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ განხორციელებას. სახალხო დოვლათის დაზოგვა ჩვენი ყოველდღიური მუშაობის მეთოდია.

მოწინავე საწარმოთა კოლექტივები ესწრაფვიან სწორად მოაწყონ წარმოება, სამმართველო აპარატის პერსონალის შემცირების ხარჯზე გაადიდონ იმ მუშათა ხვედრითი წონა, რომლებიც უშუალოდ წამყვან საწარმოო პროცესებზე არიან დაკავებული.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული საწარმო, მაღარო, შახტი, სამშენებლო ობიექტი, საამქრო და უბანი წლის დაწყების პირველი დღეებიდანვე ასრულებდეს დავალებებს, უშვებდეს ისეთ პროდუქციას, რომელიც მთლიანად შეეფერება ყველა მოთხოვნას. გეგმების შესრულება გრაფიკის ზუსტად დაცვით, თანმიმდევრულად, ტემპის თანდათანობითი გაძლიერებით უნდა ხდებოდეს და არა იერიშით.

ამას მივაღწევთ მაშინ, თუ საწარმოები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდებიან ახალ სამეურნეო წელს, მოაწესრიგებენ ნედლეულის, სათბობის, სათადარიგო ნაწილების მომარაგების საკითხებს, წინასწარ შეიმუშავებენ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს, რომლებიც პირველ რიგში უნდა ითვალისწინებდნენ შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის გზებსა და საშუალებებს, კერძოდ, ახალი, გაუმჯობესებული ტექნოლოგიის გამოყენებას, რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებას, მოწინავეთა შრომის მეთოდების პროპაგანდას, მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მუშათა ახალი კადრების ორგანიზებულ მომზადებას.

სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ყველა ღონისძიებანი უნდა მიიღონ იმისათვის, რომ სამრეწველო საწარმოები სრული მზადყოფნით შეხვდნენ ახალ სამეურნეო წელს.

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობა არტელების წევრებისა და სარეწაო კოოპერაციის ყველა მუშაკის სახელით მხურვალედ მიესალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

ყრილობის დელეგატები განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მისალმებას. ამ მისალმებით განსაზღვრულია სარეწაო კოოპერაციის პირველი რიგის ამოცანები სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

კოოპერაციული მრეწველობის მუშაკები სიტყვას აძლევენ პარტიას და მთავრობას, რომ ღირსეულად შეასრულებენ მათ წინაშე დასახულ დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს, არ დაიშურებენ ძალასა და შრომას იმისათვის, რომ საბჭოთა ადამიანებს მისცენ მეტი კარგი ფართო მოხმარების საქონელი.

ყრილობის მონაწილენი მოხარული არიან აცნობონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა მთავრობას, რომ უკვე მიმდინარე წელს სარეწაო კოოპერაციის არტელები გამოუშვებენ 75 პროცენტით მეტ პროდუქციას, ვიდრე პირველი ომისშემდგომი ხუთწლედის უკანასკნელ წელს — 1950 წელს, დამტკიცებული გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ სულ ცოტა 2,5 მილიარდი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელს.

ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული, რომ სარეწაო კოოპერაცია მოვალეა კიდევ უფრო სრულად დააკმაყოფილოს საბჭოთა ადამიანების განუწყვეტლივ მზარდი მოთხოვნილება მასობრივი მოხმარების საქონელზე, უკეთ მოემსახუროს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებებს. ემყარებოდა რა ამას, ყრილობამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის წარმოების ყოველი ღონისძიებით გადიდებისა და მისი ხარისხის სერიოზული გაუმჯობესებისათვის.

სიტყვას ვაძლევთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომ სარეწაო კოოპერაციის მუშაკები კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლებენ შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისა და წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ თვითეული სარეწაო არტელი მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს სახელმწიფო გეგმას, უშვებდეს მაღალი ხარისხის, კარგ, ლამაზ საქონელს მრავალფეროვანი ასორტიმენტით.

ითვალისწინებენ რა თავიანთ რეზერვებს, სარეწაო კოოპერაციის მუშაკები კისრულობენ შემდეგ ვალდებულებებს:

ვადამდე შეასრულონ 1955 წლის საწარმოო გეგმა და მეხუთე ხუთწლედის დამლევისათვის მიაღწიონ წარმოების ისეთ მოცულობას, რომელიც ერთიორად გადააჭარბებს 1950 წლის დონეს;

გაადიდონ 1955 წელს ავეჯის წარმოება მიმდინარე წელთან შედარებით ერთნახევარჯერ, ლითონის სათჯახო ჭურჭლისა — ერთიორად;

გაადიდონ საშენი მასალების წარმოება: აგურის — ერთნახევარჯერ, კრამიტისა — 2,4-ჯერ, წიდაბეტონისა — 3,6-ჯერ;

1954 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერების გადიდება უზრუნველყონ 9 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ სულ ცოტა 6 პროცენტით.

1955 წელს კოოპერაციული ორგანიზაციები ააშენებენ ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის სულ ცოტა 600 დიდ ატელიეს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებს, ტანსაცმლის ქიმიური წმენდისა და შეღებვის ფაბრიკებს, ფეხსაცმლის, ავეჯისა და საოჯახო და სამეურნეო საგნების შემკეთებელ სახელოსნოებს. ამასთან 300 სარემონტო-საყოფაცხოვრებო საწარმო აშენდება ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში.

ვალდებულებას ვკისრულობთ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ადგილობრივი საშენი მასალების და კოლმეურნეობებისა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის სხვადასხვა სამეურნეო ინვენტარის წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას.

სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობა სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომ სარეწაო კოოპერაციის მუშაკები ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ პატრიოტულ მოვალეობას სამშობლოს წინაშე — მაქსიმალურად გამოიყენებენ თავიანთ შინარეზერვებს მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის წარმოების გადიდებისათვის, განუწყვეტლივ გააუმჯობესებენ წარმოების ტექნიკას და ტექნოლოგიას, კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, სისტემატურად გაამრავლებენ ნოვატორთა, წარმოების მოწინავეთა რიგებს, გულმოდგინედ გააუმჯობესებენ საბჭოთა ადამიანების განუწყვეტლივ მზარდი საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების მომსახურებას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

**სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობა.**

# ყირგიზეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის შექმნა

ფრუნზე, 20 დეკემბერი. (საკდესი). აქ გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ყირგიზეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის შექმნას. ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში თავი მოიყარეს მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეებმა, საწარმოო კოლექტივების, კოლმეურნეობების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. სხდომას ესწრებოდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, მოლდავეთის, ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეცნიერთა წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. სუერკულოვმა. მან ყირგიზეთის მეცნიერებსა და მთელ ყირგიზ ხალხს მიულოცა აკადემიის შექმნა, რაც მოასწავებს ახალ ეტაპს ეროვნული კულტურის განვითარებაში.

სხდომაზე წაიკითხეს ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ყირგიზეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა დამტკიცების შესახებ. დასახელებულ იქნა რესპუბლიკის მეცნიერების სხვადასხვა დარგის ორმოცი თვალსაჩინო მუშაკი.

ყირგიზეთში მეცნიერების მდგომარეობისა და მეცნიერებათა აკადემიის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფესორმა ახუნბაევმა. მან აღნიშნა, რომ ამჟამად რესპუბლიკაში არის მრავალი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც მუშაობს მეცნიერების ოთხასამდე დოქტორი და კანდიდატი. მარტო მიმდინარე წელს დისერტაცია დაიცვა 25-ზე მეტმა ახალგაზრდა მეცნიერმა.

ყირგიზეთის მეცნიერებათა აკადემია შეიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რესპუბლიკური ფილიალის ბაზაზე. მის შემადგენლობაში რვა დიდი ინსტიტუტი, ექვსი დამოუკიდებელი განყოფილება, ათობით ლაბორატორია, ბოტანიკური ბაღი, საცდელი სადგურები, მუზეუმები.

დამსწრეთ მხურვალედ მიესალმნენ მოძმე რესპუბლიკების მეცნიერების მოღვაწენი.



ი. ბ. სტალინის ძეგლი, რომელიც გაიხსნა ქ. ბათუმში 1954 წლის 21 დეკემბერს.

# ი. ბ. სტალინის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიები

22 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ რესპუბლიკურ სამწლიან პარტიულ სკოლაში შედგა ვ. ი. ლენინის საქმის დიდი განმგრძობის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სესიაზე მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებანი: პარტიული ცხოვრების ნორმებისა და ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების შემდგომი განვითარება ი. ბ. სტალინის მიერ (მომხსენებელი დოცენტი ა. მერცხულავა); ი. ბ. სტალინის მიერ მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის განვითარება (მომხსენებელი დოცენტი რ. წულუკიძე); ი. ბ. სტალინი საზოგადოებრივი განვითარების კანონების ობიექტური ხასიათისა და მათი გამოყენების შესაძლებლობის შესახებ (მომხსენებელი ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ნაჭყებია); მხატვრული სახეები ი. ბ. სტალინის გამოსვლებსა და შრომებში (მომხსენებელი ენებისა და ლიტერატურის კათედრის გამგე ვ. ცინცაძე).

• • •

22 დეკემბერს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შედგა სამეცნიერო სესია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ვ. კუპრაძემ. სესიაზე წაკითხულ იქნა შემდეგი მოხსენებანი: ი. ბ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი (მომხსენებელი დოცენტი ლ. გორგილაძე); ი. ბ. სტალინი საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ (მომხსენებელი დოცენტი ს. წერეთელი); ი. ბ. სტალინი სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის შესახებ (მომხსენებელი დოცენტი ი. ბაჯაძე).

მოსმენილ იქნა აგრეთვე პროფესორ გ. ახვლედიანის მოხსენება ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო შრომების მნიშვნელობა საბჭოთა ენათმეცნიერებისათვის; ი. ბ. სტალინის მიერ სახელმწიფოს შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების განვითარება (მომხსენებელი დოცენტი ს. ჯორბენაძე).

• • •

21 დეკემბერს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შედგა სამეცნიერო სესია, რომელზედაც მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებანი: ი. ბ. სტალინი — ვ. ი. ლენინის საქმის დიდი განმგრძობი (მომხსენებელი დოცენტი ს. სიმონგულოვი); ი. ბ. სტალინის მიერ მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის შემდგომი განვითარება (მომხსენებელი დოცენტი ი. კვირიკაძე); ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ისტორიაში ხალხის მასების გადამწყვეტი როლის შესახებ (მომხსენებელი დოცენტი ი. ჩხარტიშვილი); ი. ბ. სტალინი საზოგადოების კანონების ბუნების კანონებისაგან განსხვავების შესახებ (მომხსენებელი უფროსი მასწავლებელი გ. კიკნაძე).

• • •

20 დეკემბერს ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში მოეწყო მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის სამეცნიერო სესია.

სესიამ მოისმინა შემდეგი მოხსენებანი: ი. ბ. სტალინი — ვ. ი. ლენინის საქმის დიდი განმგრძობი (მომხსენებელი დოცენტი გ. ბრეგაძე); ი. ბ. სტალინი სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის შესახებ (მომხსენებელი ა. გრიგორიანი); ი. ბ. სტალინი და ეროვნული საკითხი (მომხსენებელი ე. ჯორჯაძე).

# ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დამტკიცებულია „დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნების ჩასატარებლად გამოყენებულ უნდა იქნას სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულება, დამტკიცებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 9 დეკემბრის ბრძანებულებით.

# საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა

[illegible] ხოვნილებანი.

კინოხელოვნება განუყოფელია ლიტერატურისაგან, მისი განვითარება უაღრესად მჭიდროდ დაკავშირებულია საბჭოთა ლიტერატურის განვითარებასთან. ჩვენ დღემდე საბჭოთა კინემატოგრაფიის უდიდეს მიღწევად არც თუ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ფილმი „ჩაპაევი", რომელიც რეჟისორებმა ვასილიევებმა დადგეს დ. ფურმანოვის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. „ჩაპაევის" შემდეგ გამოვიდა მთელი რიგი სხვა საუცხოო სურათები: „ბალტიკის დეპუტატი", „დიდი მოქალაქე", „ტრილოგია მაქსიმეს შესახებ", „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ", „შჩორსი", „ლენინი ოქტომბერში", „ლენინი 1918 წელს".

მხატვრულმა კინემატოგრაფიამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია აგრეთვე მოძმე რესპუბლიკებში.

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა კინომ ლიტერატურასთან მჭიდრო თანამშრომლობით შეძლო საბჭოთა ხალხის პატრიოტულ აღმავლობას ცოცხლად გამოხმაურებოდა იმით, რომ გამოუშვა საბრძოლო კინოკრებულები და სრულმეტრაჟიანი მხატვრული სურათები; იგი დაეხმარა ფრონტსა და ზურგს ჰიტლერელ დამპყრობლებზე გამარჯვების გამოჭედვაში.

ომისშემდგომმა წლებმა ახალი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახა საბჭოთა კინოს. თავისი დადგენილებებით იდეოლოგიურ საკითხებზე პარტიამ დაგვისახა ამ ამოცანების გადაჭრის გზა. ეკრანზე გამოჩნდა ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი — ფილმები „სოფლის მასწავლებელი", „ღირსების სამსჯავრო", „შეხვედრა ელბაზე", „რუსეთის საკითხი", „თქმულება ციმბირის მიწაზე". მიუხედავად მათი სხვადასხვაობისა, ისინი გამოირჩეოდნენ როგორც მხატვრული სიმწიფით, ისე თემების აქტუალობით. მაგრამ ასეთი სურათები, აღნიშნავს ს. გერასიმოვი, მრავალი როდი ყოფილა. ზედ სხვა ომისშემდგომ ფილმში ცხოვრების ნაცვლად იყო აბსტრაქტული სქემა.

შემცირდა სურათების ჟანრობრივი სხვადასხვაობა. თითქმის სრულიად გაქრა კომედიები, სათავგადასავლო ფილმები, საბავშვო ფილმები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ გადაჭრით აღნიშნა, რომ საჭიროა დიდი რაოდენობით გამოშვებულ იქნას კინოსურათები და ამაღლდეს მათი იდეურ-მხატვრული ხარისხი. ომისშემდგომ წლებში მხატვრული პროზის წარმატებანი თვალნათლივ გვიჩვენებენ, თუ რა შესაძლებლობა აქვთ ჩვენს მწერლებს, რათა სერიოზული შემოქმედებითი დახმარება გაუწიონ საბჭოთა კინოს ამ ამოცანის გადაჭრაში. დღემდე ეს შესაძლებლობა სათანადოდ არ ყოფილა გამოყენებული, რასაც აფერხებდა თემატიკური დაგეგმვის სისტემა კინოწარმოებაში მწერალთა შემოქმედებითი ჩანაფიქრის გაუთვალისწინებლად, იმის უნარის უქონლობა, რომ ჩაებათ ისინი მხატვრული ფილმის შექმნის რთულ პროცესში. თავის მხრივ მწერლები, აღნიშნავს მომხსენებელი, არ ეუფლებიან კინოდრამატურგიის სპეციფიკას, არ იჩენენ მისწრაფებას დაეუფლონ მას და ხშირად ნედლ და დაუმთავრებელ სცენარებს აბარებენ.

უკანასკნელ დროს დაისახა საინტერესო წამოწყება, რომლის მიზანია სცენარის ფრონტზე მდგომარეობის გამოსწორება. როგორც ჩანს, ყველაზე გონივრული და ნაყოფიერი ფორმაა შემოქმედებითი სახელოსნოების დაარსება, სადაც თანასწორი უფლებებით თავიანთ ღონისძიებებს გააერთიანებენ მწერლები და რეჟისორები, რათა გააუმჯობესონ იქ თავიანთი ოსტატობა.

დასასრულ ს. გერასიმოვმა მიმართა მწერლებს მოწოდებით აქტიურად ჩაებან საბჭოთა კინემატოგრაფიის კარგ ნაწარმოებთა შექმნის საქმეში, რომლებიც გახდებიან ხალხთა მშვიდობის, მეგობრობის დიადი იდეების, კაცობრიობის ბედნიერების ნამდვილი მქადაგებლები.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა უხუცესმა საბჭოთა მწერალმა თ. გლადკოვმა. მან მოუწოდა მწერლებს შეასრულონ ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის ანდერძი და შთაგონებით ემსახურონ ხალხს. ილაპარაკა რა საბჭოთა მწერლების კავშირის საქმიანობაზე, ამხ. გლადკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კავშირი უნდა იყოს შემოქმედებითი და არა ადმინისტრაციული ორგანიზაცია, ლიტერატურული ახალგაზრდობის სკოლა და მხატვრული სიტყვის ოსტატებთან მისი ურთიერთობის სასურველი ადგილი.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ნ. ჩერკასოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მწერლებმა ჯერ კიდევ ვერ შეასრულეს თავიანთი ვალი თეატრისა და კინოს ხელოვნების წინაშე.

ნ. რიბაკმა თავისი სიტყვა მიუძღვნა საბჭოთა ისტორიული რომანის საკითხებს.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ ცნობილ გერმანელ მწერალს ანა ზეგერსს. მან წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც დაახასიათა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდა მზარდი ლიტერატურის მიღწევები და ამოცანები. მან თქვა: იმაში, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი გაეცნოს ლიტერატურას, დიდ როლს ასრულებს საბჭოთა ლიტერატურა. ჩვენი ახალგაზრდობა, თქვა მან, ხარბად კითხულობს საბჭოთა რომანებს.

აღნიშნა რა, რომ შრომის თემას თვალსაჩინო ადგილი უკავია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მწერლების შემოქმედებაში, რომ ლიტერატურაში მონაწილეობას იწყებენ თვით მუშები. ანა ზეგერსმა ამ შემოქმედებითს პროცესს დაუპირისპირა დასავლეთ გერმანიის ლიტერატურული ცხოვრების დაქვეითება.

ამ ყრილობაზე დასწრება, თქვა დასასრულ ანა ზეგერსმა, დაგვეხმარება იმაში, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ სიკვდილის წინააღმდეგ სიცოცხლის, დრომოჭმულის წინააღმდეგ მომავლის დიად ბრძოლაში.

19 დეკემბერს კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში გრძელდებოდა საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა. პროზაიკოსები, პოეტები, დრამატურგები, ყველა ჟანრის წარმომადგენლები გაცხოველებით განიხილავენ თავიანთი შემოქმედებითი მოღვაწეობის საარსებო საკითხებს.

თავმჯდომარეობს ამხ. ა. ვენცლოვა. პირველი გამოდის მორდველი მწერალი ნ. ერკაი. იგი დამსწრეთ უამბობს თავისი ხალხის წარმატებებზე სამეურნეო მშენებლობაში, კულტურის განვითარებაში. მორდვული ნაწერი მხატვრული ლიტერატურა ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ეროვნული ლიტერატურაა, საბჭოთა წყობილების ქმნილებაა. ახლა მან უკვე შექმნა მთელი რიგი დიდი ნაწარმოებნი. მორდვეთში გამოდის ლიტერატურულ-მხატვრული ალმანახები რუსულ, აგრეთვე ერზია და მოქშა ენებზე. ორატორი აღნიშნავს, რომ საჭიროა საბჭოთა მწერლების კავშირმა უფრო სერიოზული დახმარება გაუწიოს მორდვეთის ლიტერატორებს.

სიტყვა ეძლევა სომეხ მწერალს ნაირი ზარიანს. ამხანაგებო, თქვა მან, ამას წინათ ჩვენი ქვეყნის მშენებლებმა დაამთავრეს თავიანთი თათბირი, რომელზეც ჩვენს მთავრობასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად შეაჯამეს თავიანთი მრავალი წლის შრომის გამოცდილება და დასახეს შემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის გზები. ამავე დღეებში კი ატომური იმპერიალიზმის მესვეურები განუწყვეტლივ თათბირობენ იმის შესახებ, თუ როგორ აღადგინონ გამანადგურებელი ძლიერება ხალხთა დამარცხებული მტრისა, როგორ შეაიარაღონ ატომური ბომბით ჰიტლერელი გენერლები. არ შემიძლია ამ ტრიბუნიდან არ გამოვთქვა ჩემი აღშფოთება ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჩერჩილის ვერაგობის გამო, რომელმაც თავის 23 ნოემბრის სიტყვაში აღიარა, რომ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე მან ფელდმარშალ მონტგომერის გაუგზავნა დეპეშა და მისცა მითითება ეთანამშრომლნა ჰიტლერულ არმიასთან საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ. არ შემიძლია მწერლის სიამაყის გრძნობით არ ვუთხრა მადლობა ჩვენს მარშლებს ამხ. ვასილევსკისა და ჟუკოვს მათი დინჯი, მშვიდობისმოყვარული, ჩვენი სამშობლოს უძლეველი ძალის გრძნობით აღსავსე პასუხისათვის აგრესიისა და ხალხთა შორის მტრობის პოლიტიკის მომხრეებისადმი.

ნ. ზარიანი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა პატრიოტული სიამაყით შეხვდნენ მწერლები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას, ლაპარაკობს მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ერთიანობაზე, რუსული ენის უდიდეს როლზე, რომლის მეოხებით მოძმე ლიტერატურათა საუკეთესო ნაწარმოებნი მთელი საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების მკითხველთა ფართო მასების კუთვნილება გახდა.

ს. მიხალკოვი, აღნიშნავს რა თეატრის უდიდეს ზეგავლენას მოზარდ მაყურებელზე, ლაპარაკობს დრამატურგების პასუხისმგებლობაზე, რომლებიც წერენ საბავშვო თეატრისათვის, ამბობს, რომ საჭიროა გაფართოვდეს საბავშვო თეატრების ქსელი. ორატორს მიაჩნია, რომ ყველა თეატრი უნდა დგამდეს სპექტაკლებს ბავშვებისათვის. საბავშვო ლიტერატურას უნდა უშვებდეს აგრეთვე ყველა გამომცემლობა.

სიტყვის დიდი ნაწილი ს. მიხალკოვმა მიუძღვნა საბჭოთა კომედიისა და სატირის განვითარების საკითხებს. ამ ბოლო დროს შეიქმნა კომედიები და მიმოხილვები, რომლებიც კარგად მიიღეს მაყურებელმა და კრიტიკამ. თეატრებში დასცინიან ბიუროკრატებს, რეგვენებს, დოყლაპიებს, ფარისევლებს, პირმოთნეებს, თვალთმაქცებს. მაგრამ ამ კომედიებსა და მიმოხილვებს მოჰყვა რამდენიმე უიმედო კონიუნქტურული პიესა. მათ პრეტენზია აქვთ სატირული პიესები ეწოდებოდეთ. ნამდვილად კი ისინი ცილს სწამებენ ჩვენს ცხოვრებას, სინამდვილეს.

აღნიშნავს რა, რომ ეს ფსევდოსატირული პიესები სამართლიანად გააკრიტიკეს, პოეტი ამავე დროს ამბობს, რომ ზოგჯერ კრიტიკა საკმაოდ დაკვირვებით არ ეკიდება სატირული ჟანრის ნაწარმოებთა შეფასებას.

ყრილობის სახელზე მოდის უცხო ქვეყნების კულტურის მოღვაწეთა მრავალი მისალმება. 19 დეკემბრის სხდომაზე გამოაქვეყნეს ჩინეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა, სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის კორეის საზოგადოების, ამერიკელი მწერლების ა. კანისა და ე. კოლდუელის, ავსტრიელი მწერლის კ. პრიჩარდის, კანადის საზოგადო მოღვაწის დ. კარტერის, ცნობილი ინგლისელი მწერლის ა. კოპარდის, გერმანელი მწერლების ლ. ფეიხტვანგერის, ა. ცვაიგის, ს. ჰერმლინის, კუბას, იტალიელი პოეტის დ. როდარის მისალმებანი. ვენესუელელმა პოეტმა კარლოს აუგუსტო ლეონმა ყრილობას გამოუგზავნა მისალმება ლექსად, რომელსაც ეწოდება „ლექსი სიკვდილსა და სიცოცხლეზე". იგი მიძღვნილია გამოჩენილი ფრანგი მეცნიერის ფრედერიკ ჟოლიო-კიურისა და საბჭოთა ხალხისადმი, რომელმაც პირველმა გამოიყენა ატომის ენერგია მშვიდობიანი მიზნით. მიღებულია აგრეთვე არგენტინის, შვეიცარიის, ისრაელის სახელმწიფოს კულტურის მოღვაწეთა მისალმებანი.

ყრილობას მიესალმა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. რაპოხინი. მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა მოთხოვნებს უყენებს მწერლებს საბჭოთა ახალგაზრდობა, ხაზგასმით აღნიშნა ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის დიდი მნიშვნელობა.

სიტყვა მიეცა ვიეტნამელ მწერალს ნგუენ დინ თხის.

დღეს, ამბობს იგი, რვა წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ვიეტნამის ტერიტორიაზე დაიწყო ომი და ჩემი ხალხის გმირული წინააღმდეგობა. სწორედ ამ ისტორიულ დღეს წილად მხვდა პატივი და დიდი სიხარული ვიეტნამის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა სახელით მივესალმო მოსკოვს — მსოფლიოს დედაქალაქს, კაცობრიობის ყველაზე ნათელი და მშვენიერი კულტურის დედაქალაქს.

ნგუენ დინ თხი გულითად სალამს უძღვნის საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობას ვიეტნამის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთაგან.

ნახევარი ვიეტნამი, ამბობს ნგუენ დინ თხი, ჯერ კიდევ მძვინვარე სასტიკ ტერორს განიცდის, რასაც ახორციელებენ ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც არღვევენ შეთანხმებას დაზავების შესახებ. ისინი ცდილობენ დაარღვიონ მშვიდობა, ხელი შეუშალონ ჩვენი სამშობლოს გაერთიანებას, ჩაშალონ ჟენევის თათბირის მიღწევები. მაგრამ ჩვენ მტკიცედ გვწამს — ომში რომ გავიმარჯვეთ, მშვიდობაშიც გავიმარჯვებთ. ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები ასრულებენ საპატიო მოვალეობას გააფართოონ ვიეტნამის კულტურული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან ურთიერთგაგებისა და ჩვენი მეგობრობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

დასასრულ ნგუენ დინ თხიმ ყრილობის პრეზიდიუმს გადასცა წიგნები, რომლებიც ვიეტნამელმა მწერლებმა დაწერეს და ვიეტნამელმა მუშებმა დაბეჭდეს იმ უაღრესად ძნელ წლებში, როცა ხალხი თავისუფლებისა და თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. დარბაზი ფეხზე დგება და მქუხარე ტაშით მიესალმება ვიეტნამის ინტელიგენციის წარმომადგენლის სახით მის გმირ ხალხს.

მწვავე კრიტიკულ შენიშვნებს შეიცავდა ვ. ოვეჩკინის სიტყვა. კერძოდ იგი შეეხო ლიტერატურის ნაწარმოებთა პრემიების წინანდელ სისტემას. ბევრი წიგნის პრემიაზე წარდგენის დროს მხედველობაში არ იღებდნენ მკითხველთა აზრს. ხშირად მაღალი ჯილდოთი აღნიშნულ წიგნებს შორის შესანიშნავ ნაწარმოებებთან ერთად იყო დაუხვეწავი — ჟურნალში სულ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებული ნაწარმოებები, რომლებიც დროს არ შეუმოწმებია, აგრეთვე მრავალტომიანი რომანების დაუმთავრებელი ცალკე ნაწილები. ეს იწვევდა ამა თუ იმ წიგნის უზომო შექებას, მკითხველთა და ახალგაზრდა მწერალთა დეზორიენტაციას. იმ გარემოების მიზეზად, რომ ლიტერატურაში ჩნდება უფერული, პრიმიტიული ნაწარმოებნი, ოვეჩკინს მიაჩნია აგრეთვე ის, რომ ზოგიერთი მწერალი მოწყვეტილია ცხოვრებას, ხშირად იმართება პარადული სხდომები „ცხოვრების შესწავლის საკითხზე", რაც საშუალებას არ აძლევს ლიტერატორებს უშუალოდ, ცოდნისმოყვარეობით დააკვირდნენ საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს საქმიანობას.

თანამოხსენება „სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურების მხატვრული თარგმანები", რომელიც მოამზადეს პ. ანტოკოლსკიმ, მ. აუეზოვმა და მ. რილსკიმ, გააკეთა პ. ანტოკოლსკიმ.

ჩვენი ხალხების მეგობრობა, ამბობს იგი, საბჭოთა საზოგადოების არსებობას ერთ-ერთი ურყევი საფუძველია. ამ მეგობრობის ერთ-ერთი გამოვლინებაა სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურების ურთიერთთარგმნა. მთარგმნელობითი მუშაობის დიდ გაქანებას მოწმობს შემდეგი ფაქტი: 1953 წელს თარგმნილი ლიტერატურა ჩვენი ქვეყნის მხატვრული წიგნის მთელი პროდუქციის თითქმის 45 პროცენტს შეადგენდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოძმე ლიტერატურების ნაწარმოებთა თარგმნას რუსულ ენაზე. რუსულ ენაზე თარგმნა მსოფლიოს კარს უღებს ეროვნულ მწერალს. ასე ხდება აგრეთვე იმიტომ, რომ ხშირად რუსული თარგმანიდან კეთდება მთელი შემდგომი თარგმანები. მათ შორის თარგმანები სხვა ქვეყნების ხალხთა ენებზე.

სწორედ რუსულ ენაზე თარგმნის მეოხებით გადაიქცა ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ზეიმად ისეთი მოვლენები, როგორიც იყო შევჩენკოს, რუსთაველის, ნიზამის, ნავოის, კოსტა ხეთაგუროვის, რაინისის, დავით სასუნციზე სომხური ეპოსის, კარელურ-ფინური „კალევალის" იუბილეები და წლისთავები. ამ ზეიმებმა სოციალისტური ერების ურღვევი მეგობრობის ნიშნით ჩაიარა. მათი მეოხებით მოძმე ხალხებმა კიდევ უფრო კარგად გაიცნეს, კიდევ უფრო ძლიერ შეიყვარეს ერთმანეთი.

ანალიზს უკეთებს რა შედეგებს, რომლებითაც საბჭოთა მთარგმნელი პოეტები და პროზაიკოსები შეხვდნენ მწერალთა ყრილობას, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ცუდი მდგომარეობაა თარგმნის თეორიის შექმნის საქმეში. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი ა. მ. გორკი პირველი დიდი რუსი მწერალი იყო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რუსეთის მკითხველების ფართოდ გაცნობას მოძმე ხალხთა ლიტერატურებთან. ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთა აგრეთვე ვალერი ბრიუსოვმა, რომელმაც შექმნა სომხური პოეზიის ანთოლოგია. ბრიუსოვს ფართოდ მიბაძეს საბჭოთა პოეტებმა, რომლებმაც გამოუშვეს აზერბაიჯანული, ქართული, უზბეკური, ტაჯიკური, ყაზახური პოეზიის ანთოლოგიები.

რუსულ ენაზე პირველად გამოიცა შევჩენკოს სრული, დედნის შესაბამისი „კობზარი". ფასდაუდებელია მნიშვნელობა სსრ კავშირის ხალხთა ეპოსებისა, რომლებიც პირველად ითარგმნა რუსულ ენაზე.

ბევრი რამ არის მიღწეული ლექსების თარგმნის დარგში. მომხიბვლელია ისეთი მოვლენები, როგორიც არის რუსთაველი, გურამიშვილი, თანამედროვე ქართველი პოეტები, რომლებიც თარგმნეს უკრაინულად მიკოლა ბაჟანმა და რუსულად მთელმა რიგმა საბჭოთა პოეტებმა, ისევე როგორც „ევგენი ონეგინი", რომელიც აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა სამედ ვურგუნმა, ბელორუსულ ენაზე არკადი კულეშოვმა და იაკუტთა ენაზე ჯონ ჯანგლიმ, შევჩენკოს „კობზარი", რომელიც სომხურ ენაზე თარგმნა გელამ სარიანმა, და სხვ. მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ არ არის თარგმნილი ანდა თარგმნილია ნაჩქარევად. მაგალითად, უკრაინაში დღემდე არ არის აზერბაიჯანული პოეზიის ანთოლოგია, უზომოდ გაჭიანურდა უკრაინული პოეზიის რუსულ ენაზე გამოცემის საქმე.

ლაპარაკობს რა პროზაიკოს მთარგმნელთა მუშაობაზე მომხსენებელი ასახელებს ა. კუნძიჩს, რომელმაც უკრაინულ ენაზე თარგმნა „ომი და მშვიდობა". განვლილი ოცი წლის მანძილზე პროზაიკოსმა მთარგმნელებმა თარგმნეს უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის კლასიკური პროზისა და დრამატურგიის ძირითადი ნაწარმოებნი. უფრო სუსტად არიან წარმოდგენილი რუსულ თარგმანში სომხური პროზის კლასიკოსები.

სამწუხაროდ, ამბობს ანტოკოლსკი, კარგ ნაშრომებთან ერთად, რომლებიც აღბეჭდილია დაკვირვებული შრომათა და ნიჭით, ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი იბეჭდება უფერული ხელოსნური ნაშრომი, სადაც გადმოცემულია დედნის შინაარსი, მაგრამ დაკარგულია მისი მომხიბვლელობა. საგრძნობია მთარგმნელთა კადრების ნაკლებობა. სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ ბოლოს უნდა გადასინჯოს ჰუმანიტარულ უმაღლეს სასწავლებელთა სასწავლო პროგრამები და შეიტანოს ამ პროგრამებში სსრ კავშირის ხალხთა ენების სავალდებულო შესწავლა, აგრეთვე შექმნას სპეციალური სემინარები სტუდენტებისათვის, რომლებიც მხატვრული თარგმანის ნიჭს გამოიჩენენ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში უნდა შეიქმნას მხატვრული თარგმანის ფაკულტეტი და კათედრა.

— 1934 წელს საბჭოთა მწერლების პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე ა. მ. გორკიმ მოგვიწოდა, ერთმანეთი თარგმნეთო, — ამბობს პ. ანტოკოლსკი. — დღეს, ვუპატაკებთ რა მეორე ყრილობას, თუ რა გზა განვვლეთ, სიამაყით ვაცხადებთ, რომ ჩვენი მასწავლებლის ანდერძი ყურადღებით და შევასრულეთ. თარგმნილი ლიტერატურა, პროზა და პოეზია ორიგინალურ ლიტერატურასთან ერთად არსებობს და მასთან ერთად იბრძვის ჩვენი საერთო საქმისათვის.

პ. ანტოკოლსკის თანამოხსენებით დამთავრდა ყრილობის სხდომა.

20 დეკემბრის დილის სხდომა გაიხსნა რუსეთის სფსრ განათლების მინისტრის ი. კაიროვის გამოსვლით.

პედაგოგიკასა და საბავშვო ლიტერატურას, ამბობს იგი, ერთი საერთო მიზანი აქვთ. საბავშვო ლიტერატურა განუყოფელია სკოლისაგან. სკოლა წარმოუდგენელია ისე, თუ საბავშვო წიგნი არ ექნა.

ასრულებდა რა პარტიისა და მთავრობის მითითებებს, რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტრომ ამ ბოლო წლებში განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საბავშვო ლიტერატურის განვითარების წახალისება. სისტემატურად იმართება კონკურსები საუკეთესო საბავშვო წიგნზე, რის შედეგადაც გამოჩნდა ბევრი ახალი ავტორი. ახლა წარმატებით მიმდინარეობს კონკურსი მეცნიერულ-პოპულარული და მეცნიერულ-მხატვრული საბავშვო წიგნის შექმნაზე. სამინისტრო იწყებს დიდი პოლიგრაფიული საწარმოს მშენებლობას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავაფართოოთ საბავშვო ლიტერატურის გამოცემა.

ამხ. კაიროვმა მიმართა მწერლებს თხოვნით — მონაწილეობა მიიღონ საკითხავი წიგნების შექმნაში, რომლებიც განკუთვნილი იქნება დაწყებითი სკოლების მოსწავლეთათვის, აგრეთვე პატარა სიუჟეტიანი მოთხრობების, მეცნიერულ-მხატვრული და მეცნიერულ-პოპულარული წიგნების შექმნაში. განსაკუთრებით ისეთი საგნების შესწავლასთან დაკავშირებით, როგორიც არის ისტორია, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია.

ა. კახარი უსაყვედურებს მომხსენებელს და თანამომხსენებლებს, რომ მათ არ მოგვცეს ცალკეული მოძმე ლიტერატურების ღრმა ანალიზი და დასჯერდნენ სახელებისა და წიგნების ჩამოთვლას. მწერალთა პირველი ყრილობის შემდეგი დროის მანძილზე წარმოიშვა უზბეკური საბჭოთა რომანი, რომელიც მანამდე არ ყოფილა, წარმოიშვა უზბეკური მოთხრობა და ნოველა. უზბეკ მწერალთა ათი რომანი თარგმნილია სსრ კავშირის ხალხთა ენებსა და უცხო ენებზე. წიგნების გმირები არიან მებამბეები, მეფოლადეები, პარტიული მუშაკები — შრომისა და შემოქმედების ადამიანები.

ა. კახარი, მხარს უჭერს წინადადებას, რომ მოსკოვში შეიქმნას თეატრი „ხალხთა მეგობრობა", და თავის მხრივ წინადადება შეაქვს შეიქმნას აგრეთვე ანალოგიური გამომცემლობა. დასასრულ იგი ლაპარაკობს იმ უდიდეს მნიშვნელობაზე, რაც აქვს ყრილობისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას, რომელშიც ნაჩვენებია საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარების გზა.

თავმჯდომარე იუწყება, რომ ყრილობაზე მოვიდნენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლები. მწერლები ფეხზე ადგომით, მქუხარე ოვაციით შეხვდნენ მშვიდობის სადარაჯოზე მდგომი დიადი არმიის მეომართა დელეგაციას, რომელიც დარბაზში შემოვიდა.

ტრიბუნაზეა საბჭოთა კავშირის გმირი გვარდიის პოდპოლკოვნიკი ა. ა. ვასილიევი. გადასცა რა მხურვალე საბრძოლო სალამი ყრილობას საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებისაგან, იგი ლაპარაკობს იმ შესანიშნავ ნაწარმოებებზე, რომლებშიც ასახულია სამშობლოს დამცველთა საბრძოლო გმირობა. ეს ნაწარმოებნი, — აცხადებს ორატორი, — არმიისა და ფლოტის ჯარისკაცთა, მატროსთა, ოფიცერთა, გენერალთა და ადმირალთა მეგობრები გახდნენ. ისინი ხელს უწყობენ მათში მამაცობის, სამშობლოსა და კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო სიყვარულის დანერგვას.

მაგრამ, აღნიშნავს ამხ. ვასილიევი, მხატვრული ლიტერატურა ჯერ კიდევ დიდ ვალშია საბჭოთა მეომრების წინაშე. ძალიან სასურველია, რომ მწერლებმა უშუალოდ იგრძნონ არმიისა და ფლოტის ცხოვრების მაჯისცემა, ისევე მჭიდროდ დაკავშირებული იყონ ჯარის ნაწილებთან და ქვეგანაყოფებთან, როგორც დაკავშირებული იყვნენ ომის წლებში. — მოველით თქვენგან ახალ წიგნებს საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის ერთგული დარაჯის — საბჭოთა არმიის შესახებ!

ყრილობის სახელით საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ბორის პოლევოიმ. მან განაცხადა, რომ მწერლები შექმნიან ახალ ნაწარმოებებს, რომლებიც მიეძღვნება საბჭოთა არმიის გმირობასა და ცხოვრებას.

შემდეგ გამოსულმა ბ. აგაპოვმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ნარკვევს როგორც ისეთ ჟანრს, რომელიც ყოველმხრივ აშუქებს საბჭოთა ადამიანის შრომითს წარმატებებს, მის შემოქმედებითს ძიებასა და მუდმივ სულიერ ზრდას, ილაპარაკა ნარკვევზე როგორც ნაკლოვანებათა კრიტიკის იარაღზე.

მ. ალიგერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლიტერატურული კრიტიკა უნდა ამაღლდეს საბჭოთა ლიტერატურის წინაშე მდგომი ამოცანების დონემდე, მან ილაპარაკა ახალგაზრდა კრიტიკოსებისადმი ფრთხილ მოპყრობაზე.

ლაპარაკობს რა ლიტერატურულ შემოქმედებაში თვითკმაყოფილების ფაქტებზე, მ. ალიგერს მაგალითისათვის მოჰყავს ეპიზოდი, ბაბაევსკის რომანიდან „სინათლე მიწაზე". ამ ეპიზოდში მოთხრობილია, რომ ქალაქში ჩამოსული სერგი ტუტარინოვი მიდის თეატრში და ხედავს სცენაზე... ბაბაევსკის რომანის „ოქროს ვარსკვლავის კავალერის" ინსცენირებას, რომლის მთავარი გმირია სერგი ტუტარინოვი.

გულმხურვალედ ხვდებიან დელეგატები ინდოელ მწერალს ალი სარდარ ჯაფრის.

საბჭოთა ლიტერატურას და სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს, ამბობს ჯაფრი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინდოეთის მწერალთა შემოქმედებისათვის. მათ მუდამ აღაფრთოვანებდა ინტერნაციონალიზმის სულისკვეთება, და თავიანთი წიგნებით ისინი ეხმაურებიან მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ხმებს. თქვენთან ერთად, ჩვენო პატივცემულო საბჭოთა თანამოძმეებო, თქვენთანაც, ჩვენო საყვარელო ჩინელო მეზობლებო, და თქვენთანაც, ყველა ქვეყნის მწერლებო, რომლებიც იბრძვით მშვიდობისა და პროგრესისათვის, ვაცხადებთ, რომ ჩვენი საერთო მიზანია დავუპირისპიროთ ჩვენი წიგნების უძლეველი ძალა ომის გამჩაღებელთა, მშვიდობისა და კაცობრიობის მტერთა საშინელ ზრახვებს.

ტრიბუნაზე ადის ინდოეთის დელეგაციის მეორე წევრი — მწერალი ახმედ აბასი. მან და ჯაფრიმ ყრილობას გადასცეს საჩუქრები — პოეტ ფაიზ ახმედ ფაიზის ლექსთა კრებული და ნაქარგი, რომელიც ძღვნად გამოუგზავნა საბჭოთა მწერლებს წერა-კითხვის უცოდინარმა უბრალო ქალმა პენჯაბის პროვინციიდან. მქუხარედ უკრავენ ტაშს დელეგატები და სტუმრები, როცა აბასს მოჰყავს ამ ქალის სიტყვები: „გადაეცით ეს მცირედი საჩუქარი იმ ხალხს, რომელიც იბრძვის მშვიდობისათვის. უთხარით, რომ ამ საჩუქარს ვამზადებდი ჩემი შვილისათვის, მაგრამ მე ამას ვუგზავნი ჩემს შვილებს საბჭოთა ქვეყანაში. ვუსურვებ მათ: დაე მათი საცოლეები და საცოლეები მთელ მსოფლიოში ნურასოდეს ნუ განიცდიან ომის საშინელებებს".

— საბჭოთა ეროვნული ლიტერატურების უმაგალითოდ სწრაფი ზრდა და აყვავება, — ამბობს კურბან სახატოვი (თურქმენეთი), — საბჭოთა კულტურის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია 20 წლის მანძილზე. აყვავდა თურქმენული ლიტერატურაც, რომელმაც გამოზარდა მთელი რიგი ნიჭიერი მწერლები.

კ. სახატოვი უერთდება იმ ორატორების აზრს, რომლებმაც სამართლიანად უსაყვედურეს საბჭოთა მწერლების კავშირს „დეკადური" ფაციფუცი, როცა რესპუბლიკურ ორგანიზაციებს დახმარებას უწევდნენ დაკვრითი, იერიშობანის წესით.

როსტოველმა მწერალმა მ. სოკოლოვმა გააკრიტიკა საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანოების საქმიანობა. ერთ-ერთი უდიდესი ნაკლია ის, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა პატივში არ არის არც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში, არც ადგილობრივ მწერალთა ორგანიზაციებში. ნაკლებად იყო კრიტიკა მოხსენებებშიც და თანამოხსენებებშიც, რომლებიც ყრილობაზე გააკეთეს. კ. სიმონოვს თანამოხსენებაში, განაცხადა ორატორმა, გამორჩა მთელი განყოფილება — იმ მწერალთა უდიდესი შემოქმედებითი კოლექტივის მუშაობა, რომლებიც მხარეებსა და ოლქებში ცხოვრობენ. მ. სოკოლოვი უსაყვედურებს „ლიტერატურნაია გაზეტას" იმის გამო, რომ იგი ნაკლებად აყენებს დიდმნიშვნელოვან შემოქმედებითს პრობლემებს.

ეხება რა დრამატურგიის მდგომარეობას, ორატორი აღნიშნავს, რომ ბევრი კარგი პიესა ვერ აღწევს თეატრს, ჩარჩენილია კულტურის სამინისტროს განყოფილებებში.

მირზა იბრაჰიმოვმა, რომელიც დილის სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა, აზრი გამოთქვა, რომ სქელტანიანი ჟურნალები, გამომცემლობანი და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი მიძღვნილ მეტ მეცნიერულ შრომებს უნდა უშვებდნენ.

ყრილობის 20 დეკემბრის საღამოს სხდომაზე თავმჯდომარეობდა მირზო ტურსუნ-ზადე.

საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის ძირითად პრობლემებზე თანამოხსენება გააკეთა ბ. რიურიკოვმა. მან დაახასიათა კრიტიკის მდგომარეობა და ამოცანები, ანალიზი გაუკეთა მისი სერიოზული ჩამორჩენის მიზეზებს.

განსაკუთრებით დიდია ის ამოცანები, რომლებიც დასახულია ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის წინაშე ჩვენი ლიტერატურის იდეური საფუძვლებისათვის, მისი რეალისტური სიღრმისა და სიმართლისათვის, მაღალი მხატვრული ოსტატობისათვის ბრძოლაში, ავრცელებს რა მთელ მსოფლიოში ჰუმანიზმს, მშვიდობისა და დემოკრატიის იდეებისათვის [illegible] რდება ის ლიტერატურას, რომელიც [illegible] ცხოვრებას [illegible].

უკანასკნელ ოც წელიწადში, თქვა მან, ამაღლდა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის მეცნიერული დონე, მან გადალახა ჩვენთვის უცხო კონცეპციები და შეხედულებანი. მომხსენებელი ასახელებს ლიტერატურათმცოდნეობის შრომებს, რომლებიც მიეძღვნა მოძმე ლიტერატურების ისტორიასა და მშობლიური და მსოფლიო ლიტერატურის ცალკეულ კლასიკოსებს. ამასთან ერთად მან უსაყვედურა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტს, რომელსაც ჯერაც არ გამოუცია შრომა საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში, თუმცა მუშაობა ამ შრომაზე თითქმის 20 წელიწადია წარმოებს. ლიტერატურათმცოდნეობის ზოგიერთ შრომაში ჯერ კიდევ ძლიერ ხშირია ემპირიზმი, წვრილმანებში ქექვა, მაშინ როცა ამკარად ნაკლებია განმაზოგადებელი აზრი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ლიტერატურათმცოდნეობის ნაკლოვანებებმა ფეხი მოიკიდა სასკოლო სახელმძღვანელოებსა და პროგრამებში. აქამდე ლიტერატურას ხშირად ასწავლიან, როგორც ისტორიის ილუსტრაციას, და ივიწყებენ, რომ ეს სახეების სამყაროა, მშვენიერების სამყაროა. სახელმძღვანელოებში „მხატვრული სპეციფიკის" მოკლე და ზერელე გარჩევა ხშირად მოცემულია ბოლოს, დამატების სახით. არა გვაქვს პროგრამები, არა გვაქვს სახელმძღვანელო ესთეტიკაში ან თუნდაც სტატიების კრებული ხელოვნების ფილოსოფიის საკითხებზე. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტები დუნედ, არამიზანსწრაფულად ამუშავებენ ამ პრობლემებს.

ღრმად არ არის დამუშავებული ხელოვნებისათვის სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის სატირა, კონფლიქტი, დადებითი გმირი, ტიპიზაციის პრინციპები, ტრაგიკულისა და კომიკურის საკითხები, ხელოვნების მეთოდისა და სტილის საკითხი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დოკუმენტებში იდეოლოგიურ საკითხებზე, განაგრძობს ამხ. რიურიკოვი, მხილებულ იქნა უიდეობის ტენდენცია, ხალხისაგან ესთეტური მოწყვეტის ტენდენცია. ჩვენს შორის აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ გავანადგურეთ რა მტერი, მოვიპოვეთ რა დიდი გამარჯვება ფაშიზმზე, შეგვიძლია დავივიწყოთ იდეური მოთხოვნები, გზა ავიღოთ გასართობ ხელოვნებაზე. პარტიამ დაგმო ეს დემობილიზაციური განწყობილება. საბჭოთა საზოგადოებრიობამ მკვეთრად გააკრიტიკა კოსმოპოლიტური იდეები, ის ყალბი შეხედულებანი, რომ რუსულ ლიტერატურაში თითქოს არ ყოფილიყოს დადებითი გმირის სახე, აგრეთვე ესთეტური ნიჰილიზმი. საზოგადოებრიობამ ასევე თანმიმდევრულად დაგმო ვულგარული სოციოლოგიზმი და გაუბრალოება.

ჩვენი კრიტიკა, აღნიშნავს ორატორი, საკმაოდ ფართოდ ვერ ხედავს ცხოვრებისა და ლიტერატურის განვითარებას, აღარ იბეჭდება ჟურნალებში ლიტერატურის წლიური მიმოხილვები, რომელთა შესანიშნავი ტრადიცია მომდინარეობს ბელინსკიდან. შესაძლებელია, ამბობს ორატორი, რომ ზოგიერთ კრიტიკოსს არ სურდა დაეწერა სამიმოხილვო სტატიები იანვარში, რადგან ელოდა, თუ მათი რა შეფასება იქნებოდა მარტსა და აპრილში. მაგრამ ეს მათს გამბედაობასა და დამოუკიდებლობას როდი მოწმობს.

ამხ. რიურიკოვი ლაპარაკობს იმაზე, რომ საბჭოთა მწერლების კავშირი პასუხისმგებელია კრიტიკის სერიოზული ჩამორჩენისათვის. მეტად არასაკმარისია ის ადგილი, რომელიც ეთმობა კრიტიკას ჟურნალ-გაზეთებში. კავშირის ხელმძღვანელმა ორგანოებმა — ჟურნალებმა, ალმანახებმა და „ლიტერატურნაია გაზეტამ" შეუწყნარებლად ცოტა რამ გააკეთეს ახალგაზრდა კრიტიკოსების აღზრდისათვის. საბჭოთა მწერლების კავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა მოფიქრებულად, გულმოდგინედ გააუმჯობესოს კრიტიკის მთელი მუშაობა.

თავმჯდომარე აცხადებს:

— სიტყვა ეძლევა დიდ ზანგ მომღერალს, კაცობრიობის ბედნიერებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს პოლ რობსონს. დარბაზში გაისმის მქუხარე ოვაციები.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის ხელისუფლებმა უარი უთხრეს პოლ რობსონს ამერიკის შეერთებული შტატებიდან გასასვლელი ვიზის მიცემაზე, ფირზე ჩაწერილი მისი სიტყვა ამ საღამოს გაისმა საბჭოთა მწერლების ყრილობაზე.

ჩვენ, მშვიდობის დამცველებს, ამბობს იგი, ნათლად გვაქვს შეგნებული ის საფრთხე, რომელიც ყველა ჩვენგანს ემუქრება. საბედნიეროდ, მიუხედავად ამ თვალსაზრისისა, ამერიკელი ხალხი მაინც იღვიძებს. მასაც სურს მშვიდობა, და უნდა დავეხმაროთ მას რაც შეიძლება უფრო ფართოდ მიიღოს მონაწილეობა მშვიდობისათვის ბრძოლაში, იმ ბრძოლაში, რომელსაც თავის ძალღონეს ახმარს მილიონობით ადამიანი მთელ დედამიწაზე.

ჩვენ, მშვიდობისათვის ამერიკელი მებრძოლნი, განახლებული ენერგიით განვაგრძობთ ბრძოლას, მიუხედავად ტერორისა, მიუხედავად ყველა სიძნელისა და დაბრკოლებისა.

გმადლობთ თქვენი დაუცხრომელი ღონისძიებების გამო მშვიდობისათვის ბრძოლაში. თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხები ხედავენ, რომ თქვენ შესაძლებელი გახადეთ ადამიანთა მეგობრობა და თანასწორობა, მიუხედავად მათი კულტურისა და კანის ფერისა.

გახსოვდეთ, რომ საბჭოთა ხალხის ნამდვილი მეგობარი ვარ, თქვა დასასრულ პოლ რობსონმა. გადაეცით ჩემი სალამი საბჭოთა ადამიანებს და განსაკუთრებით ბავშვებს. ბევრმა, ბევრმა ბავშვმა ამერიკის სხვადასხვა ადგილიდან მთხოვა გადმოგცეთ სალამი თქვენ და თქვენს ბავშვებს. დიახ, მათი იქნება საუცხოო მომავალი, იმიტომ, რომ ჩვენ აუცილებლად მოვიპოვებთ მშვიდობას. მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე!

შემდეგ გამოვიდა გ. მუსტაფინი. მან ილაპარაკა ყაზახური საბჭოთა ლიტერატურის წარმატებებზე, დაასახელა მთელი რიგი ნაწარმოებნი, რომლებიც შექმნეს ყაზახმა პოეტებმა და პროზაიკოსებმა. შეეხო რა ეროვნული ენებიდან თარგმნის საკითხებს, ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თარგმნა ხელოსნობა კი არ არის, არამედ ხელოვნებაა. მთარგმნელმა უნდა იცოდეს ხალხის ცხოვრება, ყოფა და ტრადიციები, დაეუფლოს ორიგინალის სტილისტურ თავისებურებებსა და შემოქმედებითს ბუნებას.

გამოდის ფრანგი მწერალი ელზა ტრიოლე. იგი ლაპარაკობს იმ დიდ როლზე, რასაც ასრულებს დასავლეთის მკითხველთათვის საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც უნერგავს მათ რწმენას, იმედს, ადამიანისადმი სიყვარულს.

საღამოს სხდომაზე უკანასკნელად გამოსულმა კინორეჟისორმა ა. დოვჟენკომ თავისი სიტყვა მიუძღვნა კინოდრამატურგიის განვითარების საკითხებს. (საქდესი).



მოსკოვი. საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა კრემლში. სურათზე: სხდომათა დარბაზში.
ფოტო ვ. ეგოროვისა და ვ. სავოსტიანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტყიბულელ მეშახტეებს დახმარება ესაჭიროებათ

ტყიბულელი მეშახტეები თავგამოდებით იბრძვიან შრომის ნაყოფიერების განუხრელი ამაღლებისათვის, ხუთწლიანი გეგმით დასახულ ამოცანათა ვადამდე შესრულებისათვის. ტყიბულქვანახშირის ტრესტის კოლექტივმა 12 დღით ადრე გაანაღდა ქვანახშირის ამოღების 1954 წლის დავალება და მომდევნო დღეებში გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ქვანახშირი ამოიღო. ექსპლოატაციაზე მომუშავე თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში 13,7 პროცენტით ამაღლდა, ხოლო ტონა ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების შედეგად გაწეულია საკმაოდ დიდი თანხის ეკონომია.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მეტი და მაღალხარისხოვანი ქვა-

...

ტარი მილგაყვანილობის სიგრძე, რამაც შეამცირა მილგაყვანილობაში ბალასტის გაჩხირვის შემთხვევები, აგრეთვე ამ მილგაყვანილობის მოვლა-პატრონობის ხარჯი.

ქვანახშირის ამოღების გადიდებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ფენათა დამუშავების რაციონალური სისტემის გამონახვას. ამ მხრივ ტყიბულის შახტებში ყველაფერი რიგზე როდი იყო. საექსპლოატაციო ველების გამომუშავება ხდებოდა ფენების გავრცელების მიმართულებით მიმავალ ათმეტრიან ზოლებად. ამ სისტემის უარყოფითი მხარე ის იყო, რომ სანგრევი ხაზის ყოველი მეტრით წინწაწევისას აუცილებელი იყო მთელი სანგრევი ხაზის გაძლიერებული გამაგრება, რასაც დიდძალი მუშახელი და ხის სამაგრი მასალა სჭირდებოდა. ასევე ქვანახშირის ყოველი ათმეტრია-

...

ხელ მიაქციეს ყურადღება დონბასიდან ჩამოსულმა დელეგაციებმა, აგრეთვე აკადემიკოსმა ტერპიგორევმა, რომელმაც ინახულა ტყიბულის შახტები.

საჭიროა მოკლე დროში გადაიდგას მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქვანახშირის ფენების დამუშავების კომპლექსური მექანიზაციისათვის. ტყიბულის შახტები უხვად უნდა აღიჭურვოს საბჭოთა სამთო ტექნიკით. მოხდეს ყველა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

ტყიბულელ მეშახტეებს ბევრი რამ გვაქვს სასაყვედურო ქვანახშირის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისადმი (დირექტორი ბ. გუჯეჯიანი). ამ ინსტიტუტს დავალებული აქვს დაეხმაროს ტყიბულელ მეშახტეებს დამუშავების ახალი, რენტაბელური სისტემების ...

...

ლითაც უმოკლესი მანძილით დავუშვით მილგაყვანილობა და ამით შევამცირეთ სავსები მასალის ტრანსპორტირებისათვის საჭირო წყლის ხარჯი, ვინაიდან დიდი დახრისას მცირე წყალიც საკმაო წნევას გვაძლევს. ამასთან თითქმის ორჯერ შემცირდა სავსები მასალის გამ-

...

მთელ რიგ შახტებში დღემდე გამოუყენებელია ქვანახშირის ამოღების გადიდებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების არსებული რეზერვები.

ტყიბულის შახტებში ჯერ კიდევ სუსტად ხორციელდება კომპლექსური მექანიზაცია. ამ გარემოებას არაერთ-

...

ბათ არასტანდარტული სამაგრი მასალის გამოყენებით.

ამ საკითხის მოგვარებაში უნდა დაგვეხმარონ ხელმძღვანელი რესპუბლიკური ორგანოებიც.

**ფ. ნაჭყებია,**
ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველი.

---

საბჭოთა მშენებლობა

# ახლებურად მუშაობის პირველი შედეგები

სასოფლო საბჭოების მუშაობის წარმატება დიდად არის დამოკიდებული დეპუტატების ინიციატივასა და აქტივობაზე, მასებთან ყოველდღიურ ურთიერთობასა და მჭიდრო კავშირზე. ამ რამდენიმე თვის წინათ განხორციელებულმა საყურადღებო ორგანიზაციულმა ღონისძიებამ — სასოფლო საბჭოების გამსხვილებამ ხელი შეუწყო საბჭოების მხრივ სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერებას, შექმნა აქტივის გაფართოებისა და მასებთან კავშირის შემდგომი განმტკიცების უკეთესი შესაძლებლობა.

ფართო აქტივის დახმარებით ახლა უფრო ღრმად ვწვდებით და უკეთესად ვწყვეტთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკულ საკითხებს. მშრომელებთან მჭიდრო კავშირი და ურთიერთობა გვეხმარება ნაკლოვანებების ადვილად შემჩნევასა და უსწრაფესად დაძლევაში.

გამსხვილების შემდეგ ჩვენს სასოფლო საბჭოში ოთხი კოლმეურნეობა შემოდის. სასოფლო საბჭოს, მისი დეპუტატების პირველი რი-

...

მისიას ხშირად შემოაქვს სასოფლო საბჭოს აღმასკომის განსახილველად საკითხები, რომელთა მოგვარება აჩქარებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობას, გვეხმარება შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში. შარშანდელთან შედარებით წელს მოსავლის აღების პერიოდში მკვეთრად შემცირდა დანაკარგები, ამასთან მეტი მოსავალიც იქნა მიღებული. ამ საქმეში კომისიას გარკვეული წვლილი მიუძღვის. კომისიამ ასევე საქმიანი მონაწილეობა მიიღო პირუტყვის საკვების დაგროვებაში.

დეპუტატებისა და აქტივის დახმარებით ჩვენ გადაჭარბებით შევასრულეთ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩაბარების გეგმები.

სასოფლო საბჭოს გამსხვილებამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვეფართოებინა სოფლების კეთილმოწყობის სამუშაოები. სოფელ ახალხედისეულის 8-წლიან სკოლას არ ჰქონდა სასმელი წყალი. წელს ეს საკითხი მოგვარდა. სკოლამ უკვე მიიღო წყალი. გადაწყვეტილია მომავალ წელს ამ სოფელში აშენდეს მასწავლე-

...

ვი კომისია. მას თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს აქტივი. კომისიის წევრები, მისი თავმჯდომარე შ. ფირცხალავა კოლმეურნეობების ყოველდღიური მუშაობის კურსში არიან. კო-

...

გადაწყვეტას.

**ვ. ჩირგაძე,**
წულუკიძის რაიონის ნახახულევის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

---

# პროფესორ დ. გედევანიშვილის იუბილე

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივმა ამ დღეებში აღნიშნა ინსტიტუტის ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგის პროფესორ დ. გედევანიშვილის დაბადების 70 წლისთავი და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავი.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორმა დოცენტმა ქ. თარგამაძემ. მოხსენება პროფესორ დ. გედევანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა პროფესორმა გ. ტარასაშვილმა.

იუბილარს გულთბილად მიესალმნენ პროფესორები ნ. კეცხოველი, ი. ლომოური, ი. სარიშვილი, მ. საბაშვილი, ს. ერქომაიშვილი, ლ. კალანდაძე, შ. გონაშვილი, დოცენტები გ. ბადრიშვილი, ბ. იაკობაშვილი, დ. სამადაშვილი, ი. აბაშიძე, მ. კობახიძე, ნ. ჯიბუტი (ბათუმი), ა. ნიჟარაძე (ქუთაისი), სტუდენტი მ. კლდიაშვილი (თბილისი) და სხვები.

დასასრულ პროფესორმა დ. გედევანიშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ მისი მოღვაწეობის დაფასებისა და გულთბილი შეხვედრისათვის.

---

გაზეთების ფურცლებზე

# საქართველოსა და დაღესტნის კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება

დუშეთის რაიონისა და დაღესტნის ასსრ გუნიბის რაიონის კოლმეურნეთა შორის ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

პარტიის დაღესტნის საოლქო კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „დაგესტანსკაია პრავდამ" 11 დეკემბრის ნომერში ამ საკითხს უძღვნა მოწინავე წერილი: „საქართველოსა და დაღესტნის კოლმეურნეთა შეჯიბრება". მოწინავეში ნათქვამია, რომ დუშელ კოლმეურნეთა პატრიოტულმა თაოსნობამ მეცხოველეობის მკვეთრი ამაღლებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის საქმეში გუნიბის რაიონის მშრომელთა მხურვალე და ერთსულოვანი მოწონება ჰპოვა. გაზეთი წერს:

„მოძმე რესპუბლიკების ორი რაიონის კოლმეურნეთა შორის სოციალისტური შეჯიბრება მკაფიოდ გამოხატავს ჩვენი პარ-

...

ერთშორის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ და ამხ. დ. კრინიცკის წერილი „დიდი მეგობრობის დასაწყისი".

---

## სახელმწიფო დახმარება გმირ დედებს

ახალციხე. (საკ. კორ.). რაიონში 11 გმირი დედაა. მათ დღემდე სახელმწიფოსაგან დახმარების სახით მიიღეს 85.805 მანეთი.

12 შვილის დედას ე. ლაბაძეს დღემდე მიღებული აქვს 23.800 მანეთი, 11 შვილის დედამ ნ. სვანიძემ მიიღო 18.030 მანეთი, 10-11 შვილის დედებმა ე. ლაცაბიძემ, ს. კრტიანმა და ა. ინასარიძემ თვითეულმა 14-17 ათასი მანეთი მიიღო.

---

# ავამაღლოთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადების ხარისხი

ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სისტემატურად ახორციელებენ ღონისძიებებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადებისათვის. ყოველწლიურად უმაღლეს სასწავლებელ კურსდამთავრებული სპეციალისტების ახალი ნაკადი ევლინება სახალხო მეურნეობას. თუ 1953 წელს სოციალისტურმა სახალხო მეურნეობამ უმაღლესი განათლების მქონე 200 ათასი ახალგაზრდა სპეციალისტი მიიღო, მიმდინარე წელს სახალხო მეურნეობის მუშაკთა რიგებში 230 ათასი ასეთი ახალგაზრდა ჩადგა.

სხვა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებელთა რიც-

...

რუნველყონ სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულება.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებანი თავისი ყოველდღიური მუშაობის პროგრამად გაიხადა. სსრ კავშირის სხვა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებთან ერთად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმაც მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელა ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

...

ლია მრავალსაგნიანობის შემცირება, მნიშვნელოვნად შემცირებულია სტუდენტთა კვირეული დატვირთვა, რაც იძლევა მათი დამოუკიდებელი მუშაობის საგრძნობლად გადიდების შესაძლებლობას.

ამჟამად სასწავლო გეგმები მიმართულია იქითკენ, რომ მომზადდეს ფართო პროფილის სპეციალისტები. ამასთან დაკავშირებით მცირდება ვიწრო პროფილის სპეციალისტთა მომზადების მასშტაბი. თუ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აქამდე 13 პროფილის სპეციალისტებს ამზადებდა, შემდგომში სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის, ჰიდრომელიორაციის, აგრონომიული, მეზაღების-მეველახეობის, სოფლის მეურნეობის ეკო-

...

რული ჩვევებით აღჭურვილი კადრების მომზადების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლექცია-პრაქტიკუმების მაღალხარისხოვნად ჩატარებას, იდეურ-პოლიტიკურ, კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის სისტემატურ წარმოებას და სასწავლო პროცესებისა-

...

ტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებას.

ცნობილია, რომ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს სახელმძღვანელოები. მართალია, ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა ამ

...

ემორჩილება წარმოებაში არსებულ რეჟიმსა და დისციპლინას, უმუშავდება მას წარმოებაში მუშაობის ჩვევები.

მნიშვნელოვანი მუშაობა წარმოებს სტუდენტობაში სამეცნიერო-კვლევითი ჩვევების გამოსამუშავებლად. პროფესორ-მასწავლებელთა ...

...

ბის წარმატებით შესრულებისათვის. ჩვენი პატრიოტული მოვალეობაა კიდევ უფრო ავამაღლოთ კადრების მომზადების ხარისხი, მივცეთ სოციალისტურ სოფლის მეურნეობას მაღალკვალიფიციური, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული სპეციალისტები.

**დოც. ქ. თარგამაძე,**
შრომის წითელი დროშის ორდენოსან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი.

## საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 21 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს ეროვნულ კრებაში გრძელდებოდა პარლამენტის კომისიების მომხსენებელთა გამოსვლები პარიზის შეთანხმებათა შესახებ.

საგარეო საქმეთა კომისიის მომხსენებელი დასავლეთ გერმანიის „სუვერენიტეტის აღდგენის" საკითხზე იზორნი შეეხო ცვლილებებს, რომლებიც პარიზის შეთანხმებებმა შეიტანეს ბონის სტატუტში. იგი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა დაემალა საშიშროება, რომელსაც საფრანგეთისათვის და ევროპის მშვიდობისათვის შეიცავენ ბონის სახეშეცვლილი შეთანხმებანი.

ბონის შეცვლილი შეთანხმებანი, ისევე როგორც მთლიანად პარიზის შეთანხმებანი იზორნიმ დაახასიათა როგორც ატლანტიკის პოლიტიკის გარდუვალი დამთავრება. მან მტკიცედ მოითხოვა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია, განაცხადა რა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში თითქოს „საფრანგეთი თავის პრესტიჟს დაკარგავს".

საგარეო საქმეთა კომისიის მეორე მომხსენებელმა ვენდრუმ თავისი მოხსენება საარის პრობლემას მიუძღვნა. მან აღიარა, რომ მისი მოხსენება კომისიაში დაამტკიცეს მკაცრი შეშფოთებით, რაც გამოიწვია ბონის მთავრობის პოზიციამ საარის საკითხში. მან მწუხარება გამოთქვა, რომ დასავლეთი გერმანია „ამ მხრივ მინიმუმ გაგებასაც არ იჩენს", ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებანი საარის შესახებ უკვე სცილდებიან იმის ფარგლებს, რაც საფრანგეთმა განსაზღვრა, და რომ „ყოველგვარი ახალი დათმობა თუნდაც შეთანხმებათა ინტერპრეტაციის აზრით თავისი თავის უარყოფის მომასწავებელი იქნება".

დეპუტატებმა დიდი ყურადღებით მოუსმინეს ეროვნული თავდაცვის კომისიის მომხსენებელს რადიკალ ბადის. ცნობილია, რომ ამ კომისიამ მოითხოვა გადაედოთ კამათი პარიზის შეთანხმებათა შესახებ. ბადიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ შეთანხმება დიდ საფრთხეს უქმნის საფრანგეთს. „ჩვენგან მოითხოვენ, — თქვა მან, — მივიღოთ უაღრესად სერიოზული გადაწყვეტილება, რომელსაც შეუძლია შეცვალოს საფრანგეთისა და ევროპის ბედი... გაუგონარი ამბავია, რომ საფრანგეთ-საბჭოთა ხელშეკრულების ხელმოწერის ათი წლის შემდეგ მთავრობამ კატეგორიულად მოიწონა ეკისრნა ამ შეთანხმებათა დადების ინიციატივა. უმაგალითო პარადოქსია, რომ გერმანიის შეიარაღებაზე უკეთესი ვერაფერი გამონახეს".

ბადიმ გაკვირვება გამოთქვა იმ აჩქარების გამო, რასაც მთავრობა იჩენს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის საქმეში, რომლებიც, მისი აზრით, დაკვირვებულ, გულმოდგინე და დეტალურ განხილვას მოითხოვენ.

მომხსენებელმა შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია საფრანგეთს დააყენებდა გამალებული შეიარაღების გზაზე და გამოიწვევდა დამატებითს სამხედრო სიძნელეებს, მაშინ როცა თანამედროვე იარაღით აღჭურვილი დასავლეთ გერმანიის დივიზიები საფრანგეთის დივიზიებზე გაცილებით ძლიერი იქნებიან.

„თუ საშიში არა, ნაადრევი იქნება, — განაგრძო ბადიმ, — ამ პირობებში პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია და გერმანიისათვის არმიის შექმნის უფლების მინიჭება. კამათის გადადებამ, რასაც ეროვნული თავდაცვის კომისია მოითხოვს, საშუალება უნდა მოგვცეს თავიდან ავიცილოთ ნაჩქარევად მიღება გადაწყვეტილებისა, რომელიც საფრანგეთის მომავალს ეხება. მან საშუალება უნდა მოგვცეს წინდაუხედაობა არ გამოვიჩინოთ და უარი არა ვთქვათ აღმოსავლეთთან მოლაპარაკების შანსზე, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მშვიდობიანი თანაარსებობა, რაც ჩვენ გვსურს. კამათის გადადება ბრძნული გადაწყვეტილებაა".

ბადის მოხსენებას ტაშით შეხვდნენ პარლამენტის სხვადასხვა ჯგუფის დეპუტატები.

გუშინდელ სხდომაზე უკანასკნელი მომხსენებელი იყო ანდრე იუგი (რადიკალი) ეკონომიურ საკითხთა კომისიისაგან. როგორც კი იგი ტრიბუნაზე ავიდა, კომუნისტი დეპუტატი ფრანსუა ბიიუ შეეკითხა: „ვისი სახელით ლაპარაკობთ? თქვენი მოხსენება მოწონებულია ათი ხმით შვიდი ხმის წინააღმდეგ, კომისიაში კი 44 წევრია. რატომ მალავთ ამას?".

ანდრე იუგმა განაცხადა, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციით საფრანგეთი თითქოს დაამტკიცებს „თავის კეთილ ნებას" და რომ „საჭიროა ეკონომიური თანამშრომლობა დასავლეთის სახელმწიფოთა შორის". ანდრე იუგის სიტყვის შემდეგ სხდომა დამთავრდა.

ეროვნული კრების დღევანდელი სხდომა დაიწყო 9 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით.

პარიზი, 21 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ეროვნული კრების დილის სხდომა დაიწყო საფინანსო კომისიის მომხსენებლის ლიოტეს გამოსვლით. როგორც ცნობილია, საფინანსო კომისიამ უარყო პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის პროექტი.

ლიოტემ განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიის დაჩქარებული შეიარაღება ევროპას გადაიყვანს გამალებული შეიარაღების გზაზე და ფრიად სერიოზულ საფრთხეს შექმნის. საფინანსო კომისიას, განაგრძო მან, არ შეუძლია აგრეთვე უგულებელყოს საშიში შედეგები, რაც საფრანგეთის საწარმოებისათვის გამომდინარეობს ეგრეთწოდებული „ევროპის შეიარაღების გაერთიანებიდან". ლიოტემ თქვა, რომ საფინანსო კომისიამ უარყო გენერალ ბიიოტის მოხსენება დასავლეთ გერმანიის შეიარაღებისა და ატლანტიკის ბლოკში მისი მიღების შესახებ.

რაც შეეხება იზორნის მოხსენებას ბონის შეთანხმებათა შესახებ (ეგრეთწოდებული საოკუპაციო სტატუტის გაუქმების შესახებ), განაგრძო ლიოტემ, საფინანსო კომისიამ მოიწონა იგი. მაგრამ მან სერიოზული შენიშვნები გააკეთა რეპარაციებზე უარის თქმის შესახებ, რადგან საფრანგეთმა დიდი ზარალი ნახა ჰიტლერელთა შემოსევის შედეგად.

ლიოტემ წინადადება შეიტანა კამათი საარის პრობლემის შესახებ გადაიდოს მანამდე, სანამ საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიას შორის არ მოწესრიგდება დავა საარის გამო. საარის ახლანდელი სტატუტი, რომელიც საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებებმა განსაზღვრა, თქვა მომხსენებელმა, ძირს გამოუთხრის საფრანგეთის ეკონომიურ პოზიციებს. იგი დიდ უპირატესობებს ქმნის დასავლეთ გერმანიისათვის.

სამრეწველო წარმოების კომისიის სახელით, რომელმაც მხარი დაუჭირა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას, გამოვიდა სოციალისტი ლაპი. იგი ლაპარაკობდა იმაზე, რომ საჭიროა „კომპრომისის სულისკვეთების" დაცვა, არწმუნებდა რა დამსწრეთ, რომ პარიზის შეთანხმებანი თითქოს წარმოადგენენ აღნიშნულ კომპრომისს. მისი გამოსვლა მიეძღვნა უმთავრესად „ევროპის შეიარაღების გაერთიანებას", რომლის შექმნა გათვალისწინებულია პარიზის შეთანხმებებით. ლაპი ცდილობდა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის აუცილებლობა დაესაბუთებინა იმის დამოწმებით, რომ ეს შეთანხმებანი თითქოს სახავენ ახალ გზას ევროპის გაერთიანებისათვის, აადვილებენ საფრანგეთ-გერმანიის „შერიგებას" და უზრუნველყოფენ „საჭირო გარანტიებს" საფრანგეთისათვის.

შემდეგ მოხსენება გააკეთა „სოციალურმა რესპუბლიკელმა" დევინამ, რომელმაც ზღვისგალმა ტერიტორიების საქმეთა კომისიის სახელით მხარი დაუჭირა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას. იგი ამტკიცებდა, თითქოს, „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" პროექტისაგან განსხვავებით, პარიზის შეთანხმებანი არ წარმოადგენენ საფრთხეს საფრანგეთის ზღვისგალმა სამფლობელოებისათვის და საფრანგეთის არმიის ერთიანობისათვის.

შემდეგ სიტყვა მიეცა პენსიებისა და ყოფილ გაძევებულთა საკითხების კომისიის მომხსენებელს „სოციალურ რესპუბლიკელ" ფორსინალს, რომელმაც განაცხადა, რომ კომისია მხარს არ უჭერს პარიზის შეთანხმებებს, რადგან გამოთქვამს შიშს ყოფილ ჰიტლერელთა ხელისუფლების აღდგენის გამო.

სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა სამრეწველო წარმოების კომისიის მომხსენებელი შიუპენი, რომელიც სპეციალურად შეეხო საარის პრობლემას. იგი შემდეგ ამტკიცებდა, რომ ეგრეთწოდებული „ევროპის გაერთიანება" ხელს შეუწყობს საფრანგეთ-გერმანიის მეტოქეობის მოსპობას.

ეროვნული კრება მუშაობას განაგრძობს 15 საათსა და 15 წუთზე ადგილობრივი დროით.

ეროვნული კრების კულუარებში იუწყებიან, რომ ამჟამად პარიზის შეთანხმებათა გამო საერთო დისკუსიაში მონაწილეობისათვის უკვე ჩაწერილია ორმოცი ორატორი.

პარიზი, 21 დეკემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, 14 საათსა და 15 წუთზე გრინვიჩის დროით ეროვნულ კრებაში განახლდა კამათი პარიზის შეთანხმებათა შესახებ. ჩაწერილი ორმოცი ორატორიდან ტრიბუნაზე პირველი ავიდა გენერალი ომერანი (დამოუკიდებელი რესპუბლიკელი). მან უაღრესად გადაჭრით დაგმო პარიზის შეთანხმებანი. პარიზის შეთანხმებანი, თქვა ომერანმა, არა საფრანგეთის პოლიტიკის, არამედ დალესის პოლიტიკის შედეგია. მან დასასრულ განაცხადა: „მე დიდხანს ვფიქრობდი გერმანიის შეიარაღების საკითხზე, რადგან დიდხანს ვფიქრობდი იმის შესახებ, თუ რა გზით დავიცვათ მშვიდობა ომის დრამისაგან. მოვუწოდებ ეროვნულ კრებას არ დაუჯეროს არც დაპირებებს, არც მუქარას".

გენერალ ომერანის შემდეგ გამოსულმა სოციალურმა რესპუბლიკელმა ლებონმა შეშფოთება გამოთქვა პარიზის შეთანხმებათა გამო. ორატორის აზრით, შეთანხმებათა საშიშროება ის არის, რომ, ჯერ-ერთი, ისინი აიარაღებენ გერმანიას, მეორე, ისინი ითვალისწინებენ მოლაპარაკებას „იმ სახელმწიფოს ნაწილთან, რომლის საზღვრები მტკიცედ არ არის დადგენილი".

ლებონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი საფრანგეთის ბუნებრივი მოკავშირეა გერმანიის მილიტარიზმის საფრთხისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

საფრანგეთის პარლამენტის ერთ-ერთმა უხუცესმა მოღვაწემ ჟაკ ბარდუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია გამოიწვევს გამალებულ შეიარაღებას და ცივი ომის გაძლიერებას.

„ჩვენ არა გვსურს ინგლის-ამერიკის ზეგავლენით მივიღოთ გადაწყვეტილება ისეთი არმიის შექმნის შესახებ, რომელიც სამგზის შემოიჭრა საფრანგეთის ტერიტორიაზე", — თქვა ბარდუმ.

საფრანგეთის ბედის გამო შეშფოთება გაისმოდა სოციალური რესპუბლიკელის ჟაკ სუსტელის სიტყვაში. მან თქვა, რომ, თუ შეიქმნა „დასავლეთ ევროპის კავშირი", იგი დაემყარება მხოლოდ ამერიკის სამხედრო ხროვის პოლიტიკას.

სუსტელმა დეპუტატების ყურადღება მიაქცია იმას, რომ საბჭოთა კავშირის 16 დეკემბრის ნოტა საფრანგეთის მთავრობისადმი „სერიოზული გაფრთხილებაა".

პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შედეგების გამო შეშფოთება ეტყობოდა აგრეთვე დეპუტატების ლეგარეს (წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირი) და სოციალური რესპუბლიკელის ნოელის სიტყვებს, თუმცა პირველი მათგანი პარიზის შეთანხმებებს აკრიტიკებდა მხოლოდ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" მომხრეთა პოზიციიდან. პარიზის შეთანხმებებს, თქვა ნოელმა, ძალიან ბევრი ნაკლი აქვთ და ამიტომ არ შეიძლება არ წარმოშვან სერიოზული შეშფოთება.

ნოელმა წინადადება შეიტანა მოეწყოს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკება გერმანიის პრობლემის გადაწყვეტის შესახებ.

ამის შემდეგ სხდომა შეწყდა.

## ბივენის განცხადება

ლონდონი, 19 დეკემბერი. (საკდესი). გამოვიდა რა 18 დეკემბერს რეკსემში (დენბიშირი) ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს სესიის გამო, ბივენმა გააკრიტიკა ამ სესიის გადაწყვეტილებანი.

„რატომ ვიღებთ ჩვენ გადაწყვეტილებას წყალბადის ბომბების სასარგებლოდ? — იკითხა ბივენმა. — რატომ ვიღებთ ამავე დროს გადაწყვეტილებას დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების შესახებ? უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში ყველა სახელმწიფო მოღვაწე, რომლებსაც უფლება აქვთ თავიანთი აზრი იქონიონ, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა გაუმჯობესდა. 1950 და 1951 წლებში ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ 1953 და 1954 წლები ყველაზე საშიში იქნება, რომ ეს იქნება ისეთი წლები, როცა ომის საშიშროება უაღრესად დიდი იქნება, და რომ ამის შესაბამისად ჩვენ უნდა მოვემზადოთ და გერმანია ხელახლა უნდა შევაიარაღოთ.

მე ამას არ ვეთანხმებოდი. მე მიმაჩნდა, რომ ეს შეფასება სწორი არ იყო, და მე მართალი აღმოვჩნდი, ისინი კი არა".

რაში მდგომარეობს, განაგრძო ბივენმა, გერმანიის რემილიტარიზაციის ოფიციალური გამართლება? იგი მდგომარეობს იმაში, რომ როგორც კი გერმანელები შეიარაღდებიან, ჩვენ შეგვეძლება რუსეთთან მოლაპარაკება ძალის პოზიციიდან ვაწარმოოთ.

შემდეგ ბივენმა განაცხადა: „რას გააკეთებენ ამ დროს რუსები? აპირებენ თუ არა ისინი გულხელდაკრეფილი ისხდნენ? მათ უკვე თქვეს, რომ არ აპირებენ. ამრიგად, მას შემდეგ, რაც ჩვენ ხელახლა შევაიარაღებთ დასავლეთ გერმანიას, დავინახავთ, რომ რუსები უფრო ძლიერნი გახდნენ და რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებობს ძალაზე დამყარებული იგივე ურთიერთობა, თუმცა იარაღის სიძლიერე გადიდდა. ჩვენ უფრო ძლიერი ვერ გავხდებით, ჩვენ უფრო სუსტი ვიქნებით. წარმოვიდგინოთ, რომ ამის შემდეგ ჩვენ დავარწმუნებთ რუსებს დაიწყონ მოლაპარაკება, რომლის დროსაც წავუყენებთ მათ ჩვენს მოთხოვნებს. მიიყვანეთ ეს ლოგიკურ დასასრულამდე. რას ვეტყვით ჩვენ რუსებს? ვეტყვით იმას, რასაც წინათ ვეუბნებოდით: რომ ისინი გერმანიიდან უნდა წავიდნენ და გადასცენ ყველა თავიანთი ბაზა, ჩვენ კი შევინარჩუნებთ ჩვენს ბაზებს, რომ მათ ნება უნდა დართონ გერმანელებს გაერთიანდნენ, ხელახლა შეიარაღდნენ და დასავლეთს შეუერთდნენ. ჩვენ ვიცით, რომ რუსები უარყოფითს პასუხს მოგვცემენ". ხაზგასმით აღნიშნა რა საბჭოთა კავშირის მიმართ „ძალის პოზიციის" პოლიტიკის წარმატების იმედის უაზრობა, ბივენმა თქვა: „რატომ ვიწყებთ ჩვენ მზადებას ომისათვის, და არა მშვიდობისათვის?"

ბივენმა განაცხადა, რომ თუ დასავლეთის ბლოკი მართლაც ესწრაფვის მშვიდობას, მაშინ საჭიროა დაუყოვნებლივ მივიღოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთი. „რატომ მიემგზავრება პეკინში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი? რატომ არ იწვევენ პეკინს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში?".

შემდეგ ბივენი კითხულობს: „რატომ არ ვხვდებით რუსებს ევროპაში? რატომ არ გვინდა გავიგოთ, რაში მდგომარეობს რუსების წინადადებები? რატომ კვლავ უარს ვეუბნებით, როცა ისინი მიწვევას გვიგზავნიან, და ვამბობთ, რომ ეს არის საფრანგეთისა და ინგლისის ან ინგლისისა და ამერიკის გაყოფის ცდა? იქნებ გვეშინია დავიწყოთ მათთან მოლაპარაკება? რატომ მტკიცედ ვაცხადებთ უარს იმაზე, რომ გამოვიყენოთ მოლაპარაკება, ნაცვლად იმისა, რომ მივმართოთ დაშინებას?".

## ინგლისის გენერალური ვექილის აღიარება

ნიუ-იორკი, 20 დეკემბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლონდონიდან იუწყება:

20 დეკემბერს ინგლისის გენერალურმა ვექილმა ჰილტონ-ფოსტერმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მთავრობა გამოძიებას აწარმოებს გაზეთ „დეილი მეილში" გამოქვეყნებულ იმ ცნობასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის ატომური ბომბები გაიგზავნა ინგლისში.

სოციალისტ ჯორჯ უიგის შეკითხვის პასუხად ჰილტონ-ფოსტერმა თქვა, რომ იგი ცნობებს კრებს ამ ამბავთან დაკავშირებით.

ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალები დაჟინებით ამბობდნენ უარს დაედასტურებინათ, რომ ატომური იარაღი რომელიმე ბაზაზეა შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ.

## ინგლისის პრესის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის 20 დეკემბრის ნოტაზე

ლონდონი, 21 დეკემბერი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის 20 დეკემბრის ნოტა, რომელიც აფრთხილებს ინგლისის მთავრობას, რომ გერმანიის ხელახლა შეიარაღების შესახებ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია გააუქმებს ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ხელშეკრულებას, მოულოდნელი იყო ინგლისის იმ დაჯგუფებებისათვის, რომლებიც ცდილობდნენ შეცდომაში შეეყვანათ საზოგადოებრივი აზრი და ეძულებინათ იგი დაეჯერებინა, თითქოს პარიზის შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების შესახებ არ ეხება ინგლისისა და საფრანგეთის ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან.

„დეილი უორკერის" დიპლომატიური მიმომხილველი, რომელიც იმოწმებს „დეილი მეილისა" და „ტაიმსის" ამასწინანდელ ცნობებს იმის შესახებ, რომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება რაიმე მოქმედებაზე ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების მიმართ, დასძენს, რომ ბურჟუაზიული გაზეთების კომენტატორებმა არ გაითვალისწინეს მთავარი, სახელდობრ ის, რომ „საბჭოთა კავშირი სერიოზულად ეკიდება ხელშეკრულებით ნაკისრ თავის ვალდებულებებს და მოელის, რომ სხვებიც ასევე მოიქცევიან".

„ტაიმსის" დიპლომატიური მიმომხილველი აღიარებს, რომ ნოტა „მოულოდნელი იყო", მაშინ როცა „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის", „ნიუს ქრონიკლის" და „დეილი ჰერალდის" დიპლომატიური მიმომხილველები ამის საწინააღმდეგოს აცხადებენ.

გაზეთი „დეილი ექსპრესი" სარედაქციო სტატიაში საბჭოთა მთავრობის ნოტასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ინგლისს არასოდეს არ უნდა წამოეწყო გერმანელთა შეიარაღება. ეს მისთვის უნდა ეკარნახა არა რუსების პროტესტებს, არამედ საღ აზრს... ინგლისს შეუძლია საფრთხეში ჩაიგდოს თავი. და ამ საფრთხეს არა მარტო შეურიგდნენ, არამედ ხელს უწყობენ. ფრანგები რომ ეიძულებინათ დათანხმებულიყვნენ გერმანიის ხელახლა შეიარაღებაზე, ამისათვის ინგლისის ჯარებს დაავალეს იყვნენ კონტინენტზე, რისთვისაც დაამკვიდრეს სამხედრო ბეგარა. ჯერ კიდევ არის იმის შანსი, რომ ფრანგები ანკესს არ წამოეგებიან და გეგმა ჩაიფუშება. ყველაფერი დამოკიდებულია ახლანდელ კამათზე საფრანგეთის ეროვნულ კრებაში... უცხოეთის პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას, რომელზეც შესაძლებელია დამოკიდებული იყოს ინგლისელთა სიცოცხლე".

„ტაიმსის" დიპლომატიური მიმომხილველი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ნოტა ინგლისის მთავრობისადმი ჰგავს საბჭოთა ნოტას, რომელიც გასულ კვირაში გაეგზავნა საფრანგეთის მთავრობას, და წერს: ინგლისის მთავრობას არაერთგზის განუმარტავს, რომ ინგლისი მხარს უჭერს შეთანხმებებს (პარიზის შეთანხმებებს. — რედ. შენიშვნა). ეს შეთანხმებანი ნაწილობრივ ჩამოყალიბებული იყო ინგლისის ინიციატივით, და ინგლისის პოლიტიკა მტკიცედ ეყრდნობა მათს განხორციელებასა და დასავლეთ გერმანიის შემდგომ ხელახლა შეიარაღებას. მიმომხილველი დასძენს: „სამწუხაროა ინგლისსა და რუსეთს შორის კავშირის გაწყვეტა..."

## იტალიის დეპუტატთა პალატაში

რომი, 21 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ნაშუადღევს იტალიის დეპუტატთა პალატაში განახლდა კამათი პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის კანონპროექტის გამო.

პირველი გამოვიდა ქრისტიანი დემოკრატი ფოლკი. მან განაცხადა, რომ მან თავის დროზე აღნიშნა, თუ გარდუვალად რა საშიში გახდებიან გერმანიის შეიარაღებული ძალები სამხედრო სისტემაში, რომელსაც ამერიკელები ქმნიან. მან დასძინა, ეს საფრთხე ახლაც არსებობს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ დიდ ძალასა და სტრატეგიულ დამოუკიდებლობას, რასაც გერმანიის შეიარაღებული ძალები დასავლეთ ევროპის კავშირში მიიღებენო. მაგრამ, თავისივე განცხადებების საწინააღმდეგოდ, ფოლკი ამტკიცებდა, დასავლეთ გერმანიაში ახლა „სხვანაირი ფსიქოლოგიური ვითარება" არსებობს და მხარი დაუჭირა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას.

შემდეგ გამოსულმა კომპარტიის სამდივნოს წევრმა დეპუტატმა ჯან კარლო პაიეტამ უწინარეს ყოვლისა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარიზის შეთანხმებათა გამო მთელი დისკუსიის მსვლელობაში ქრისტიან დემოკრატთა პარტიისა და მთავრობის სხვა პარტიების დეპუტატები არათუ ნაკლებად გამოდიოდნენ, არამედ ბევრი მათგანი არც კი დასწრებია სხდომებს, სადაც განიხილავდნენ ისეთ პრობლემას, რომელსაც ძირითადი მნიშვნელობა აქვს იტალიისათვის. მთავრობის პარტიების დეპუტატებს იმისაც კი ეშინიათ, რომ მოუსმინონ თავიანთ მოწინააღმდეგეებს, და მხოლოდ მოუთმენლად სურთ კენჭი უყარონ, რათა ბოლო მოუღონ დისკუსიას, რომელიც მათ საძნელო მდგომარეობაში აყენებს.

მიუხედავად ამისა, მათივე საკუთარი ბანაკიდან გაისმა ხმები, რომლებიც შეშფოთებასა და უთანხმოებასაც კი გამოხატავენ. კომუნისტებს, განაგრძო შემდეგ პაიეტამ, სურდათ გაეღრმავებინათ დისკუსია და დარწმუნებული არიან, რომ ამაოდ როდი გამოდიოდნენ და მიმართავდნენ უწინარეს ყოვლისა თავიანთ ქვეყანას, როცა აცხადებდნენ, მთავრობა, რომელიც აპირებს დაამტკიცებინოს პარიზის შეთანხმებანი, შეცდომას, ხოლო შესაძლოა დანაშაულსაც კი სჩადისო.

გააბათილა რა რეაქციული პრესის მონაჭორი სსრ კავშირის „აგრესიული" მიზნების შესახებ, პაიეტამ ხაზგასმით აღნიშნა, რაოდენ სერიოზული ხასიათი აქვს გაფრთხილებას პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შედეგების შესახებ.

სინამდვილეში, თქვა პაიეტამ, მიმართა რა მთავრობას, თქვენ გეშინიათ მოლაპარაკება აწარმოოთ სსრ კავშირთან, რადგან გეშინიათ, რომ სულ უფრო ცნობილი გახდება და განმტკიცდება საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა. თქვენი საგარეო პოლიტიკა ვერ მართლდება ვერც იტალიის ინტერესებით და ვერც ევროპის ინტერესებით. მას ამართლებს მხოლოდ საშინაო პოლიტიკა, რომელსაც თქვენ ახორციელებთ, ის პოლიტიკა, რომლის მიზანია დაარღვიოს კონსტიტუცია, რომელსაც ეყრდნობა მოქალაქეთა თავისუფლება და უფლებები. იტალია არ იწონებს საერთაშორისო და საშინაო განხეთქილების ამ პოლიტიკას და დაიცავს თავის თავისუფლებას, თავის დამოუკიდებლობასა და მშვიდობას მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით.

სოციალ-დემოკრატი პაოლო როსი, რომელიც უკანასკნელი გამოვიდა, უშენიშვნოდ იცავდა შეერთებული შტატების პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ გეზს გერმანიის შეიარაღების საკითხში.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სხდომა

პეკინი, 20 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 16 დეკემბერს პეკინში გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მესამე სხდომა. სხდომაზე მიღებულ იქნა დებულებათა პროექტები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სამხედრო სამსახურისა და იმ პირთა ორდენებით და მედლებით დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სახალხო-რევოლუციური ომების პერიოდში, აგრეთვე 1955 წლის ეროვნული ეკონომიკის მშენებლობის სესხის გამოშვების შესახებ.

## პროფესორ გრიგოლ წულუკიძის წიგნი უნგრულ ენაზე




უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ ქალაქ ბუდაპეშტში უნგრულ ენაზე გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, განსვენებულ პროფესორ გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძის შრომა: „მადნეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების მეთოდები".

წიგნი განკუთვნილია პრაქტიკულ და სასწავლო სახელმძღვანელოდ საპროექტო ორგანიზაციების ინჟინერ-ტექნიკოსების, საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერი თანამშრომლებისა და სამთო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

ქართულ ენაზე ეს შრომა ორჯერ გამოიცა სამ ტომად. რუსულ ენაზე გამოიცა 1948 წელს მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ მ. აგოშკოვის რედაქციით.

## ეთნოგრაფიული გამოფენა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში

21 დეკემბერს აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა საქართველოს ეთნოგრაფიული გამოფენა თემაზე „ქართველი ხალხის ძველი და ახალი ყოფა და კულტურა". საგამოფენო თემატიკას საფუძვლად უდევს ქართველი ხალხის როგორც ძველი, ისე სოციალისტური ყოფისა და კულტურის ძირითადი პრობლემების დამუშავების საქმეში ხანგრძლივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები.

გამოფენა ასახავს საუკუნეთა განმავლობაში გამომუშავებულ შრომით ჩვევებსა და საწარმოო გამოცდილებას ნივთიერი კულტურისა და სამეურნეო ყოფის ძირითად დარგებში. საექსპოზიციო თემატიკა ნაჩვენებია ძველისა და ახლის დაპირისპირების გზით, იგი ხელს უწყობს მეცნიერული ცოდნის პოპულარიზაციას.

## ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 24 და 25 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით ნალექი. ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3-8, დღისით 10-15 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 1-6 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა—3 გრადუსი სითბო, დღისით 7-12 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით 1-6 გრადუსი სითბო.

**1954 წლის 27 დეკემბერს დილის 10 საათზე, მოწვეულია გაზეთ „კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტთა თათბირი.**

რედაქტორი ნ. ჯაში.

## საიუბილეო ზეიმი დებრეცენში

დებრეცენი, 21 დეკემბერი. (საკდესი). ქალაქი დებრეცენი სადღესასწაულოდ არის მორთული. 10 წლის წინათ აქ შეიკრიბა თავისუფალი უნგრეთის დროებითი ეროვნული კრება. დღეს აქ გაიმართა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების საიუბილეო სესია.

დილით კოშუტის სახელობის მოედანზე უნგრეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლთან შეიკრიბნენ სახელმწიფო კრების დეპუტატები, მშრომელთა დელეგაციები, რომლებიც უნგრეთის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ, დებრეცენის მცხოვრებნი. დამსწრეთა შორის არიან უნგრეთის ხელმძღვანელი მოღვაწენი.

საბჭოთა მეომრების ძეგლი გვირგვინით შეამკეს უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სრულიად უნგრეთის სამამულო სახალხო ფრონტის საბჭოს, სახალხო არმიის, პროფკავშირთა საბჭოს, მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებისა და სრულიად უნგრეთის მშვიდობის საბჭოს და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელით, აგრეთვე მშრომელთა დელეგაციების სახელით.


**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

23 დეკემბერს
ბ. ასაფიევი— ბახჩისარაის შადრევანი

24 დეკემბერს
ვ. დოლიძე—ქეთო და კოტე

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში**

რუსთაველის სახელობის — ვასა ჟელეზნოვა (ახალი სპექტაკლი), მარჯანიშვილის სახელობის — ლეგენდა სიყვარულზე, გრიბოედოვის სახელობის — ერთი სიყვარულის ისტორია, სომხური დრამის — ვაგიფი, მუსიკალური კომედიის — არშინ მალ-ალან, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ეს მოხდა მოსკოვში (ახალი სპექტაკლი, [illegible] № 13, 6 ს.), თოჯინების ქართული — ქაჯანა (10 ს.), პოტაპიჩი (2 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — გაბედული დაზვერვა, სპარტაკი, ისანი, ვორონცოვის სახელობის კლუბი — მოკვეთილი ეშმაკი თათები, ოქტომბერი — პადარა ქალიშვილი, თბილისი — ზინების ქალიშვილები, კომკავშირელი — ალიშერ ნავოი, კოლხიდა—ამბავი ახალ გმირებზე, 26 კომისრის სახელობის — ჰოშიარა № 6, კოლმეურნე — ვალის შვილი, კიროვის სახელობის პარკი — ალექსანდრე პარხომენკო, ოფიცერთა სახლი — ადმირალი უშაკოვი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — მებრძოლი მეგობრები, გორკის სახელობის კლუბი — უჩინარი ფრონტი.

**საქართველოს სსრ ყველა სავაჭრო ორგანიზაციისა და საწარმოს საყურადღებოდ**

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ა. წ. 24 სექტემბრის № 1037 ბრძანების საფუძველზე მთელი ხის ტარა (ყუთები, კასრები, საფუთავი მასალა), რაც საქონლისა და მოწყობილობისაგან თავისუფლდება, 15 დღის ვადაში მიზიდულ უნდა იქნას ტარის ჩამბარებელთა საშუალებებით „გლავლესსტროიტორგის" (ხე-ტყისა და საშენი მასალების ვაჭრობის მთავარი სამმართველოს) ბაზებში პირდაპირი დანიშნულებისამებრ ხელმეორედ გამოსაყენებლად.

ტარა, რომელიც რემონტს არ საჭიროებს, სავაჭრო და სხვა ორგანიზაციებს შეუძლიათ უშუალოდ დაუბრუნონ მრეწველობას (მიმწოდებლებს), ხოლო ეს აუცილებლად უნდა გაფორმდეს ხე-ტყისა და საშენი მასალების ვაჭრობის მთავარი სამმართველოს საქართველოს კანტორის საწყობების მეშვეობით.

ტარის არა თავის დროზე დაბრუნებისათვის ხე-ტყისა და საშენი მასალების ვაჭრობის მთავარი სამმართველო ინსპექცია სავაჭრო ორგანიზაციებს გადაახდევინებს ჯარიმას უდავო წესით და ორმაგად, ახალი ტარის ფასების მიხედვით.

ტარის დაბრუნების შეფერხება აუცილებლად შეაფერხებს მრეწველობის მზა პროდუქციის გაცემას, ხოლო დასაბრუნებელი ტარის დროულად ჩაბარება მაქსიმალურად უზრუნველყოფს მზა პროდუქციის გაცემას.

დასაბრუნებელ ტარას იღებენ ხე-ტყისა და საშენი მასალების ვაჭრობის მთავარი სამმართველოს საქართველოს კანტორის ხე-ტყის სავაჭრო საწყობები.

1. ქ. თბილისში — დიდუბე, რკინიგზის ქუჩა № 2; ნავთლუღი — გუდარეხის ქ. № 1 (ნავთლუღის საკოლმეურნეო ბაზრის იქით)
2. ქ. თელავში — რკინიგზის ხაზთან
3. ქ. ქუთაისში — გორის ქ. № 136, ნინოშვილის შესახვევი № 16
4. ქ. ბათუმში — ფრუნზეს ქ. № 6
5. ქ. სოხუმში.
6. ქ. ფოთში — მოლოტოვის ქ. № 9
7. ქ. მახარაძეში — მოლოტოვის ქ. № 2
8. ქ. ზესტაფონში — წულუკიძის ქ. № 42
9. ქ. სამტრედიაში — ხე-ტყისა და საშენი მასალების ვაჭრობის მთავარი სამმართველოს საქართველოს კანტორის სავაჭრო საწყობი
10. ქ. გორში — კეცხოველის ქ. № 124
11. ქ. წნორში — რკინიგზის ხაზთან
12. ქ. სტალინირში — კალინინის ქ. № 3
13. ქ. ცხაკაიაში — სტალინის ქ. № 118
14. ქ. ხაშურში — რკინიგზის ხაზთან
15. ქ. ზუგდიდში — კიროვის ქ. № 3
16. ქ. ლანჩხუთში — რკინიგზის ქ. № 8
17. ქ. ოჩამჩირეში — კოცინის ქ. № 42

მიღება დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე განუწყვეტლივ.

ცნობებისათვის მიმართეთ ხე-ტყისა და საშენი მასალების ვაჭრობის მთავარი სამმართველოს საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას, ხეთაგუროვის ქ. № 46, ტელ. № 3-05-66, დამატებითი 37.

**ქ. თბილისის მოსახლეობისა და ორგანიზაციების საყურადღებოდ**

საქსარეწტყეკავშირის სისტემაში შემავალი არტელი „ჯეჯილი წარმოება" აწარმოებს ყოველგვარი ავეჯის შეკეთებას მოსახლეობის ბინებში ადგილზე მისვლით და ორგანიზაციებში. ანგარიშსწორება ხდება ნაღდად და გადარიცხვით. სამქროების მისამართები:

1. კიროვის რაიონი — ენგელსის ქ. № 5, ივანიძის ქ. № 36, აზიზის ქ. № 9.
2. სტალინის რაიონი — ტელმანის ქ. № 15.
3. მოლოტოვის რაიონი — კლარა ცეტკინის ქ. № 20, რენინგერის ქ. № 7.
4. ლენინის რაიონი — საბჭოს ქ. № 216.
5. 26-კომისრის რაიონი — ენუქიძის ქ. № 33.

არტელის გამგეობის მისამართი: ქ. თბილისი, კიროვის რაიონი, ივანიძის ქ. № 36.


მეუღლე პაშა შვილებით იუწყება გიორგი ივანეს-ძე დუმბაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-XII, 8 ს. გამოსვენება 25-XII, 4 ს. ფიროსმანის ქ. № 56.

დედა დორა ოჯახით იუწყება ლილია ვლადიმერის ასულ გიორგაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-XII, 7 ს. გამოსვენება 26-XII, 2 ს. ა. წერეთლის ქ. № 19.

მეუღლე ნინო გომარელი ოჯახით იუწყება სიმონ ამბაკოს-ძე ზამთარაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-XII, 7 ს. გამოსვენება 26-XII, 2 ს. კოჯრის შეს. № 3.

შვილები ეშბა, სონია, ისაკ ოჯახებით იუწყებიან ნინო დავითის ასულ ფარულავას გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-XII სოფ. ხუნწში ([illegible] რაიონი).

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების—3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხაზდივნის — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის—3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროს — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 19133 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.